ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 28 ივლისი, 2021 №137 (8666) ფასი: 60 თეთრი

სპეცოპერაცია საქართველოს მონაწილეობით

კიევში თურქეთის 2 მოქალაქე დააკავეს

გვ.5

გვ.5

ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 2 პირი დააკავეს

„ვაშაძეს ვუთხარი, რომ მესამე ძალა ვერ იქნება“

გვ.2

თაკო ჩარკვიანი: „პოლიტიკოსი თუ ვერ გრძნობ, რომ მესამე ძალა არ ხარ, მაშინ რა გინდა პოლიტიკაში?!“

გვ.3

„არჩევნებზე იმედგაცრუება გველოდება“

ლევან ალაფიშვილი: „ხელისუფლება კვლავ იგივე თამაშს შემოგვთავაზებს, რომელიც შარშან უკვე ითამაშა“

„საქართველოში ნორმალური არჩევნების ჩატარება შეუძლებელია“

გახარია: „არავის ვეომებით, მაგრამ არც არავისი გვეშინია“

გვ.2

მამუკა გიორგაძე: „ხელისუფლება ეკლესიას ამოეფარა“



გვ.4

გვ.3

„მთავარი არხის“ გაყიდვების სახლში საგადასახადო სამსახური შევიდა

გვ.2

ელენე ხოშტარია: „თუ ჩვენ დავკარგეთ მედია, დავკარგავთ ყველა თავისუფლებას, სიმშვიდეს და უსაფრთხოებას“

ვაქცინაციის პორტალზე „ფაიზერის“ დოზები ამოიწურა

გვ.3

ISSN 1987-9385

4 ნათია თურნავა: „საქართველოში „ლოკდაუნი“ არ იგეგმება“

4 „გაურკვეველ ვითარებაში ყოფნა ჩვენთვის უმძიმესია“

5 სუსმა 27 აფთიაქში ფსიქოტროპული მედიკამენტებით უკანონო ვაჭრობის ფაქტი გამოავლინა

6 აშშ-ის საბრძოლო ძალები ერაყს წლის ბოლომდე დატოვებენ

„ვაშაძეს ვუთხარი, რომ მესამე ძალა ვერ იქნება“

თაკო ჩარკვიანი: „პოლიტიკოსი თუ ვერ გრძნობ, რომ მესამე ძალა არ ხარ, მაშინ რა გინდა პოლიტიკაში?!“

იაგო ნაცვლიშვილი

როგორი საარჩევნო კამპანია გველოდება და რა აჩვენა გაკრულმა პლაკატებმა? რატომ გაახსენდა 90-იანი წლები? რა ხდება ოპოზიციაში და რატომ ვერ ვნახეთ მსხვილი ოპოზიციურ ერთობა? რატომ უწოდებს თეა წულუკიანს ბუჩქის ძირას მყოფ იას და რატომ ვერ იღებენ „ოცნების“ ის წევრები ხმას, ვისაც არსებული რეალობა არ მოსწონს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართალის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.

– როგორი საარჩევნო კამპანია გველოდება იმ ფონზე, როდესაც ვიხილეთ ფოტოები სახელწოდებით მოძალადეები და მედია და ოპოზიცია გაიგივებულია? რა სურთ ამით და ურევია თუ არა ამაში ხელისუფლების ხელი?

– მახსენდება 90-იანი წლები. ისევ ერთმანეთს გვაჭმევინებს რუსეთი და რუსეთზე მომუშავე ჯგუფი. იგივე ხდებოდა 90-იან წლებში. სახეებიც კი არ იცვლება. ზუსტად ასე ხდებოდა, მოვიდოდნენ ადამიანების გასაგიჟებლად. მოვიდოდნენ ჩვენთან და იგივე ხდებოდა გამსახურდიას ოჯახთანაც. აბსოლუტურად ხელოვნურად მიდიოდა ეს ყველაფერი. ფაქტი ხომ არის, რომ ამას ხელისუფლება აკეთებს და ხელისუფლება უწყობს ხელს? ორგანიზატორობა არ არის, როდესაც მორგოშია ოფისში შედის და პოლიცია კორდონს უკეთებს? თავდამსხმელს უკეთებ კორიდორს და არ აჩერებ, ამას რა ჰქვია?!

– რაც ხდება, ყველაფერი ეს, ვისი ხელწერაა?

– ეს არის კონკრეტულად რუსეთის და ივანიშვილის ხელწერა. ივანიშვილის განხილვა პუტინის გარეშე უკვე სასაცილოა. ფულიც არ არის მისი, არ ხდება ასე, რომ ამხელა ფულის პატრონი იყოს ქართველი, რომელმაც სადღაც იშოვა. არ აშოვნინებს რუსეთი მილიარდებს არავის. არ გაშოვნინებს. ბიზნესში მყავს მეუღლე და ზუსტად ვიცი, რა ფული იშოვება საქართველოში, ან რის ხარჯზე შეგიძლია გააკეთო. ეს არის ჯგუფი, რომლის იარაღიც ხალხის დაპირისპირებაა. ეს არის კატასტროფული იარაღი, რაც ქიმიურ იარაღზე უარესია.

ხომ ხედავთ, რომ მოსამართლეების თემას არ აჩერებენ. შედითო, შევედით, მაგრამ არ აჩერებენ მოსამართლეების დანიშვნას და რეფორმას არ ატარებენ. იმიტომ, რომ სასამართლო მისი ქონების დამცველია. რაში სჭირდება დამოუკიდებელი სასამართლო და პროკურატურა. ეს ერთი ჯაჭვია და ამით ცოცხლობს რუსული გველეშაპი. იმდენად გათავხედდა, რომ ლევ ლეშჩენკო ჩამოიყვანეს, რომელიც პირდაპირ მომღერალი პუტინია.

ამბობენ ხოლმე, ნუ აიგივებთ ხელოვნებას პოლიტიკასთანო, მაგრამ თავად აკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს. გახსოვთ აფხაზეთში მისი საქციელი და ყირიმში. თავად აკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს და შენ მას უნდა უპასუხო. ცუდად გამოვიყურებით, როდესაც თავადვე ოკუპანტი „პარაგრაფში“ გრიალებს და ჩვენ ჯაბანი ხალხივით ვართ და ხელისუფლებიდან პასუხის გამცემი არავინ არ არის. ეს არის ნიშანი. ყოველდღე აძლევს ნიშანს პუტინს, რომ მე აქ ვაგვარებო, რომ როგორმე აქ შემოვიყვანოო. სულ ვამბობ, რომ ტესტი იყო გავრილოვის ღამე. ის იყო სერიოზული დატესტვა, როდესაც პირდაპირ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩააბრძანა გავრილოვი. თალაკვაძეს წამოსცდა, პარლამენტში მაგათ არ შემოუყვანიათო, როდესაც კუჭავა ეუბნებოდა ხატია დეკანოიძეს თქვენ შემოიყვანეთო. ხანდახან ხდება ხოლმე ასეთი წამოცდენა.

– ერთ-ერთ ეთერში თქვით, რომ „ოცნებაშიც“ არ არიან ერთ პოზიციაზე და იქაც აქვთ პროტესტი. რის საფუძველზე ამბობთ ამას?

– 7 წელია მეტს ხომ არაფერს ვაკეთებ და ვამბობ, რომ რუსეთი მოდის. მეუბნებიან ხოლმე, რომ შენ აზრი შეიცვალეო. არა, მე კი არ შევიცვალე. თუ ვინმე მოგვატყუებს, ეს ნიშნავს, რომ მე შევიცვალე აზრი?! ჩემ სამშობლოს გადაბირება დაუპირა და მე შევიცვალე აზრი?! მე როგორ შევიცვალე?! ასეთი საქართველო მინდოდა? ყოველ წელს ემატება გაჭირვება.

„ოცნებაში“ მოახერხეს, რომ ყველა ჰყავთ გარეული კორუფციულ სქემებში. ზოგ დიდ სქემაში, ზოგი მცირეში.

– ამიტომ არ იღებენ ხმას?

– რა თქმა უნდა. აბა, ისე როგორ?!

– მესმის, რომ სახელებს არ იტყვით, მაგრამ ვის გუნდში არიან? მაგალითად, ღარიბაშვილის გუნდიდან არიან ასეთები?

– ყველაა. ღარიბაშვილის გუნდიდანაც არიან და სხვა გუნდებიდანაც. ხომ გახსოვთ, ივანიშვილმა კვირიკაშვილზე რომ ილაპარაკა მილიონებზე. გამოიძიეს? – არ გამოიძიეს. ის იყო შანტაჟი. გაახსენა, შენ ხომ არ გავიწყდება, რომ შენზე ამდენი მილიონი ვიცითო. იმის მერე გაგიგიათ მისი ხმა?

– სოციალურ ქსელში განცხადებებს აკეთებს ხოლმე.

– კი, მაგრამ საოცნებო განცხადებებს აკეთებს. ბოლო განსაკუთრებული. უვიცები ვართ? ჩაიხედეთ რაღაცებში. გახარიას ოპოზიციონერობა სასაცილოა.

– ფაქტია, რომ დიდწილად ოპოზიცია მის ხმებზეც ხართ დამოკიდებული – იქნება თუ არა ვადამდელი?

– ვინ გითხრათ? ასე ეგონათ ელისაშვილზეც. ნახეთ, რა განცხადებაც გააკეთა – არ ყოფილა თურმე ისე გაყალბებული არჩევნები როგორც გვეგონაო. მაშინ უნდა დაემტკიცებინათო. შარლ მიშელი უყვირის, გააჩერე სასამართლო რეფორმაო და არ აჩერებენ. ოპოზიციის სარჩელები სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო და როგორ უნდა დაამტკიცო? ეს ხომ დემაგოგიაა.

– თქვენ დაუჭირეთ მხარი მელიას და ხოშტარიას კანდიდატურებს?

– რა თქმა უნდა.

– რატომ არ არის ისეთი ერთობა, რასაც ველოდით?

– იმიტომ, რომ მე ვთქვი, ხომ გამოჩნდა წინა არჩევნების დროს, რომ მესამე ძალა არ ხარ-მეთქი. არის რომელიმე მესამე ძალა? ან „ღელო“ ან „აღმაშენებელი“?

– ვაშაძეს უთხარით, რომ გამოჩნდა მესამე ძალა არ ხარო?

– დიახ. მესამე ძალაა? პოლიტიკოსი თუ ვერ გრძნობ, რომ მესამე ძალა არ ხარ, მაშინ რა გინდა პოლიტიკაში?! ასეთი ბრძოლის დროს, როგორ შეიძლება ვერ იგრძნო პოლიტიკოსმა, სად არის მოგების ცენტრი. მაშინ პოლიტიკაში რა გესაქმება.

– „ოცნების“ თამაშს ხომ არ თამაშობენ?

– არ მინდა ასე ვთქვა, მაგრამ ფინალში გამოვა, რომ ნებსით თუ უნებლიეთ გამოვა, რომ ითამაშეს. მერე ვარკვიოთ – ნებსით იყო თუ უნებლიეთ. ახლა ერთადერთი ვარიანტი გაერთიანებაა. იმიტომ, რომ მოგონილი ოპოზიციის ხმებს წაიღებს ბიძინა. სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ გახარია წაართმევს ხმებს „ოცნებას“. „ოცნება“ არ ერქმევა და „საქართველოსთვის“ ერქმევა, ოღონდ მაინც ბიძინასი იქნება. რუსეთია, რუსეთი.

– გამორიცხავთ იმას, რომ „ოცნების“ ლიდერებმაც არ იცოდნენ და მხოლოდ ბიძინასთან იყოს შეთანხმებული გახარიას თამაში?

– რა თქმა უნდა, მაგრამ კლანი ამას ეჭვობს. ის, რომ გახარიას კლანს ცუდი ურთიერთობა აქვს ღარიბაშვილის კლანთან, ეს საიმედო არ არის. ერთმანეთის კლანის თემაა, თორემ არა საქართველოსთვის.

კობახიძეს უნდა გამოვეხმაურო. მან თქვა, რომ ბიძინა კარგად თამაშობს ჭადრაკსო. გვეშლება რაღაცები – ტვინი ყველას აქვს, ჭკუა – არა. ეჭვი მეპარება, რომ კარგი მოჭადრაკეა – როდესაც შემორჩენილი ხარ ისტორიას მოღალატის სახელით, ვერაფერი ჭკუაა. კობახიძეს უნდა, რომ ასე იყოს, როგორც ბუჩქის ძირას ია რომ აწონებდა ივანიშვილს თავს.

– თეა წულუკიანი?

– დიახ, ძალიან სასაცილო კულტურის მინისტრი. „გოგონა“ – ბუჩქის ძირას ამოსული ია სცენაზე „მთავარის“ მიკროფონით, რომელიც შორიდან აწონებდა თავს ივანიშვილს. ეს არის უბედურება, რაც ოლიგარქიული მმართველობის ნაწილია. მაგრამ, რომ გითხრათ ვღელავ, ასე არ არის. ახლა ღელვის დრო არ არის, ახლა ბრძოლის დროა. იმპერიას მოვერიეთ მაშინ, როდესაც ჩვენ ხმა არ ისმოდა მსოფლიოში და ახლა ვერ მოვერევით?!

გახარია: „არავის ვეომებით, მაგრამ არც არავისი გვეშინია“

– დავიწყებთ მუნიციპალური არჩევნებით, გავაგრძელებთ საპარლამენტო არჩევნებით და ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც ყველას ვაჩვენებთ, როგორ უნდა იზრუნო ხალხთან ერთად და აშენო სახელმწიფო. რაც მთავარია – ჩვენ ეს შეგვიძლია!

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ ჩხოროწყუში მხარდამჭერებთან შეხვედრაზე განაცხადა, სადაც პარტიის ხედვებზე ისაუბრა.

– ბევრი კარგი ადამიანია იქით მხარეს, ჩვენც ხომ იქედან მოვედით – ჩვენც ხომ „ოცნების“ ნაწილი ვიყავით. იქ ბევრი ღირსეული ადამიანი დარჩა, მაგრამ უკვე უფრო სწრაფად არის ბევრი რამე გასაკეთებელი, უფრო ეფექტიანად, უფრო კეთილსინდისიერად არის გასაკეთებელი. ერთხელ და სამუდამოდ ერთმანეთის ჭამას, გინებას და ლანძღვას თავი უნდა დავანებოთ და უნდა ვთქვათ – ყველანი უნდა გავერთიანდეთ იმისთვის, რომ ჩვენ შვილებს ღირსეული მომავალი შევუქმნათ, – განაცხადა გახარიამ.

ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ მისი მუქარების არავის ეშინია.

– არავის არ ვეომებით, მაგრამ ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ არც არავისი გვეშინია. ვერანაირი მუქარებით, რაღაც სამსახურიდან გაგდებებით ვერავის შეაშინებენ, საერთოდ ვერავის! მინდა თითოეულ ადამიანს ვუთხრა – იცოდეთ, რომ თითოეული თქვენგანის გვერდით ვდგავარ და აბა, მოვიდნენ და ვინმეს დაემუქრონ! ვერავინ ვერასოდეს გაბედავს ამ ქვეყანაში რიგითი ადამიანის დაშინებას იმით, რომ სამსახურს და ხელფასს დაკარგავს! ეს არის ულირსობა უბრალოდ, – განაცხადა გახარიამ.

მან საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაც დააანონსა.

ელენე ხოშტარია: „თუ ჩვენ დავკარგეთ მედია, დავკარგავთ ყველა თავისუფლებას, სიმშვიდეს და უსაფრთხოებას“

– კარგად უნდა გვესმოდეს, თუ ჩვენ დავკარგეთ მედია, რაც დაუშვებელია და არ მოხდება, ჩვენ დავკარგავთ აბსოლუტურად ყველა თავისუფლებას, სიმშვიდეს და უსაფრთხოებას!

ამის შესახებ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა, ელენე ხოშტარიამ განაცხადა, რითაც ის „მთავარი არხის“ გაყიდვების სახლში საგადასახადო სამსახურის შესვლას გამოეხმაურა.

ხოშტარიას თქმით, „აბსოლუტურად ნათელია, რომ ეს არის პოლიტიკური რეპრესიების ნაწილი“.

– ეს ხდება ძალიან საშიშ კონტექსტში – მედიაზე დაუფარავი, მიზანმიმართული ძალადობის და თავდასხმების ფონზე. ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება არა თუ გამოძიებასა და სინანულზე ან დათმობაზე მიდის, არამედ, ჟურნალისტებს, ჩვენს თანამოქალაქეებს, ახალგაზრდებს უწევთ ფიზიკური ჯანმრთელობის საფრთხის ფონზე მუშაობა. უკვე ყოველდღიურად არიან კორესპონდენტები და ჟურნალისტები თავდასხმის ობიექტები და ეს ხდება მინისტრების და „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების პირდაპირი მითითებით, ორგანიზებით, მაგალითებით, რასაც ემსახურებოდა თეა წულუკიანის ბანდიტური გამოხდომა სენაკში. ჟურნალისტებზე თავდასხმა არის ამ ქვეყანაში წახალისებული და ამისთვის არავინ დაისჯება. მედია არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ბევრი მცდელობის მიუხედავად, ოლიგარქიულმა რეჟიმმა ვერ მიიტაცა. ამ თავდასხმების ფონზე მედია უპრეცედენტოდ კონსოლიდირებულია.

კარგად უნდა გვესმოდეს, თუ ჩვენ დავკარგეთ მედია, რაც დაუშვებელია და არ მოხდება, ჩვენ დავკარგავთ აბსოლუტურად ყველა თავისუფლებას, სიმშვიდეს და უსაფრთხოებას! ამიტომ ყველა მინდა გავაფრთხილო „ქართულ ოცნებაში“ – არ გაგივათ! როგორც ფიზიკურად ვიცავდით და არაერთხელ დაუცავთ ამ ქვეყანაში მედია, ზუსტად ასე ფიზიკურად დავიცავთ ჟურნალისტებსაც და ყველა მედიას! ეს არის ყველა პოლიტიკოსის და საზოგადოების ვალი, – განაცხადა ხოშტარიამ.

ისრაელმა საქართველოს წითელ ზონაში შეყვანა გადადო

ქნესეთის (ისრაელის პარლამენტი) იურიდიულ და საკონსტიტუციო საკითხთა კომიტეტმა იმ ქვეყნების ჩამონათვალის გაფართოების შესახებ კენჭისყრა გადადო, რომელში მოგზაურობაც, წითელი ზონის სტატუსის გამო, ისრაელის მოქალაქეებს პარასკევიდან შეეზღუდებოდათ. ინფორმაციას ამის შესახებ იერუსალიმ პოსტი ავრცელებს.

საუბარია დიდ ბრიტანეთზე, კვიპროსზე, თურქეთსა და საქართველოზე.

კომიტეტის თავმჯდომარე გილად კარივმა ისრაელის ხელისუფლებას იზოლაციის წესების აღსრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სპეციალური ნებართვის მისაღებად მოქმედი ზომების ეფექტიანობის შესახებ დამატებითი განმარტების წარმოდგენა მოსთხოვა.

ისრაელი ამ ეტაპზე ინფიცირების ყველაზე მაღალ რისკად შემდეგ ქვეყნებს განიხილავს – არგენტინა, ბელორუსი, ბრაზილია, ინდოეთი, ყირგიზეთი, მექსიკა, რუსეთი, ესპანეთი, სამხრეთ აფრიკა და უზბეკეთი. ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებით, 30 ივლისიდან საქართველო „ნარინჯისფრიდან“ „წითელი“ ქვეყნების სიაში უნდა გადასულიყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ისრაელის მოქალაქეებს საქართველოში გამგზავრება აეკრძალებოდათ ქვეყანაში რთული ეპიდსიტუაციის გამო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„არჩევნებზე იმედგაცრუება გველოდება“

ლევან ალაფიშვილი: „ხელისუფლება კვლავ იგივე თამაშს შემოგვთავაზებს, რომელიც შარშან უკვე ითამაშა“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ თბილისში თუ მხოლოდ ორი კანდიდატი იქნება – კალაძე და მელია – 70-30-ზე გადანაწილდება ხმათა რაოდენობა. რეალურად რა სურათი შეიძლება მივიღოთ?

– უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს განცხადება დაინტერესებულმა პირმა გააკეთა. ასევე გვახსოვს ამ დაინტერესებული პირის მიერ გაკეთებული განცხადება, მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის წინ.

რაც შეეხება ამ მონაცემებს, გააჩნია, რამდენი ამომრჩეველი მივა საარჩევნო ურნასთან. თუ მილიონი ამომრჩეველი მივიდა, სულ სხვა სურათი იქნება. თუ 200 ათასი ამომრჩეველი მივა არჩევნებზე, სულ სხვა რეალობა გვექნება. ერთ შემთხვევაში შეიძლება გამარჯვებული პირველივე ტურზე გამოვლინდეს, მეორე შემთხვევაში კი მეორე ტური გახდეს საჭირო. ამიტომ, ეს არის მხოლოდ წინასაარჩევნო მანიპულირება რიცხვებით.

რაც შეეხება წინასაარჩევნო გარემოს, ძალიან მძიმე არის როგორც პოლიტიკურად, ასევე ეპიდემიოლოგიურად. ერთი მხრივ, ხელისუფლებას კოვიდპანდემიიდან გამომდინარე ხელში რჩება გადაჭარბებული რეგულაციები და ადმინისტრაციული რესურსები. მეორე მხრივ კი, დამძიმებული ეპიდვითარება თავისთავად გავლენას ახდენს ამომრჩევლის ქცევაზე. დღეს უკვე ჩანს, რომ ხელისუფლება კვლავ იგივე თამაშს შემოგვთავაზებს, რომელიც შარშან უკვე ითამაშა.

– რას გულისხმობთ?

– აქცენტს გააკეთებს იმაზე, რომ ვინც მისი მომხრე არ არის, სახლში დატოვოს. ამის კონტურები უკვე იკვეთება. მისი ყოფილი ამომრჩეველი, რომელიც უკვე მას აღარ უჭერს მხარს, მასზე განაწყენებული და იმედგაცრუებულია, სწორედ ის დატოვოს სახლში. რეგულაციებს, შეზღუდვებს სწორედ ამ „საჭიროებიდან“ გამომდინარე მიიღებს. კოვიდპანდემიის პირობებში მთავრობების ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილებაზე ღიად საუბრობენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ პირობებში მნიშვნელოვანია სასამართლოების გამართული, შეუფერხებელი მუშაობა. ამ რეკომენდაციებს იძლევიან საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ ჩვენთან სასამართლოები რა მდგომარეობაშია, ამაზე საუბარი აღბათ ზედმეტია.

– ოპოზიციამ ვერ შეძლო გაერთიანება ერთი კანდიდატის გარშემო. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაუჭირდება ოპოზიციას და როგორი შეიძლება იყოს არჩევნების შემდგომი პერიოდი?

– შემოდგომაზე ჩვენ, ყველას, ამომრჩევლებსაც და პოლიტიკურ პროცესში მყოფ აქტორებსაც, ყველას ერთად, დიდი იმედგაცრუება გველოდება. ამ იმედგაცრუებაში თანაბრად იქნებიან მონაწილენი როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია. ოპოზიციამ ვერ შეძლო თავისი იდეის ბოლომდე დაცვა. ადგილობრივი არჩევნები პლებისციტად გადმოგვითარგმნეს. ბევრი შეცდომა დაუშვეს. საყოველთაო ამნისტიით დაწყებული, საკუთარი ამომრჩევლის იგნორირებით დასრულებული. მთლიანად ამ პროცესმა დააზიანა როგორც ოპოზიცია, ისე პოლიტიკური პროცესი, რაშიც თავად მიუძღვით ლომის წილი. რა თქმა უნდა, ამით ისარგებლა და დღემდე სარგებლობს მმართველი პოლიტიკური ძალა. მიშელის დოკუმენტი დღემდე ვერ სრულდება სწორედ ოპოზიციის სისუსტიდან გამომდინარე. ოპოზიცია ვერ არის აქტიური.

– როგორ ფიქრობთ, რატომ? შეიძლება ეს მოცემულობა, ოთხი წელი პარლამენტში გარანტირებული ყოფნა აწყობდეთ?

– ერთი, ოპოზიციამ ყველაზე კარგად იცის საკუთარი შესაძლებლობები როგორც ამომრჩევლის, ისე ფინანსური რესურსების კუთხით. მეორე, ძალიან კარგად ესმის, გაზაფხულზე დაშვებული შეცდომა ძვირი დაუჯდება. მან იცის, რომ ამ ხარკს გადაიხდის. აღარაფერს ვამბობ ზოგიერთის პოლიტიკურ ზრახვებსა და დღის წესრიგზე. ამიტომ ვამბობ, რომ ოქტომბერში იმედგაცრუება გარდაუვალია.

ოპოზიციას არათუ გაერთიანება, კოორდინაციაც კი უჭირს. ადგილობრივი არჩევნები არ არის საერთო ეროვნული არჩევნები. ეს სულ სხვა სპეციფიკის არჩევნებია. შესაბამისად, ეს გამოიწვევს იმას, რომ „ქართულ ოცნებას“ მთელი ქვეყნის მასშტაბით არ გაუჭირდება 43%-იანი ნიშნულის მიღწევა. სულ არ გამოვრიცხავ, რომ, მაგალითად, ყაზბეგის ადგილობრივი არჩევნები მოიგოს ოპოზიციამ მერის, საკრებულოს დონეზე, მაგრამ იქ იმდენად მცირე ამომრჩეველია, რომ ოპოზიციას ეს საერთო შედეგს არ მისცემს. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბუნებრივია, ეს გავლენას ვერ იქონიებს. თან ამ ყველაფერს დამატებული რეალობა, რომელიც გვაქვს, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ოპოზიცია დღეს მზად არ არის არც კოალიციური მმართველობისთვის და არც კოალიციური პასუხისმგებლობის განაწილებისთვის. გაერთიანების რესურსი არ არსებობს ვერც ოპოზიციაში და ვერც პოსტარჩევნების შემდგომ, რომც მოიგონ ნებისმიერი არჩევნები. შეიძლება ძალიან მწარეა ეს მოცემულობა, მაგრამ რეალობა ასეთია.

„მთავარი არხის“ გაყიდვების სახლში საგადასახადო სამსახური შევიდა

„მთავარი არხის“ გაყიდვების სახლში საგადასახადო სამსახური შევიდა. ეს არის რიგგარეშე გადაწყვეტილება, რომელიც უწყებამ მიიღო.

არხის დამფუძნებლისა და გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას თქმით, გაყიდვების სახლში შესვლა ტელევიზიაში შესვლის იდენტურია.

– მომივიდა შეტყობინება, რომ საგადასახადო ინსპექცია, ამ შემთხვევაში, საგადასახადო სამსახური შევიდა ჩვენი გაყიდვების სახლში. ეტყობა, ტელევიზიაში ჯერ ვერ გაბედეს, მაგრამ გაყიდვების სახლში შესვლა ზუსტად იდენტურია ტელევიზიაში შემოსვლის, ჩვენი შემოსავალი ეს არის. რომ ესმოდეს მაყურებელს, ვინც ჩვენს რეკლამას ყიდის, აი იმ სახლში შევიდნენ. იქ რომ რამე დააყადაღონ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენთან შემოსავალი ვერ შემოვა, სულ რომ ყველაფერი გამართული იყოს... და ერთი წლის თავზე აღმოაჩინონ, რომ უი, არანაირი დარღვევა არ არის და პირდაპირ ვამბობ, რომ არ არის არანაირი დარღვევა. ჩვენ ვიხდით გადასახადებს.

შევიდნენ, ამას შეგვპირდა ბატონი კობახიძე თავის დროზე, რომ შევიდოდა ყველა მედიაში, რომ გამოსაკვლევია ყველა მედიასაშუალება, დაფინანსება და ა.შ. გასცა ბრძანება და ბრძანება სრულდება. მე ეჭვი მაქვს, რომ სხვა მედიებსაც იგივე ელოდება.

ველოდებით ახლა საგადასახადო პოლიციას და შემდეგ პროკურატურას. ამ ქვეყანაში სიტყვის მთქმელი ადამიანების სამუშაო ადგილი აღარ იარსებებს ძალიან მალე. მერე მაინტერესებს, როგორ უნდა მიმართონ თავის ამომრჩეველს ქართველმა პოლიტიკოსებმა. ვინ უნდა აკრიტიკოს „ქართული ოცნება“ და ვინ უნდა მოახდინოს ჩვენი დასავლური მიმართულების „ფრომოუშენი“. რა უნდა გააკეთოს ტელეკომპანია „იმედმა“ და „რუსთავი ორმა“. ეს ხომ სასაცილოა. ამ ქვეყანაში, ყველა მეთოდით ამთავრებენ მედიას არჩევნებამდე ორი თვით ადრე, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

– არაა პრობლემა, მობრძანდნენ, შეგვამოწმონ, ნახონ ყველაფერი დეტალურად.

ასეთი კომენტარი გააკეთა „მთავარი არხის“ გაყიდვების მენეჯერმა თეა გვარამიამ.

როგორც გვარამია ამბობს, შემოწმება არაგეგმიურია, თუმცა არხს ყველა დოკუმენტი წესრიგში აქვს:

– მივიღეთ შეტყობინება შემოსავლების სამსახურის საიტზე შემოწმებასთან დაკავშირებით, ვესაუბრე აუდიტის სამსახურის თანამშრომელს, მე თვითონ დავუკავშირდი, მომთხოვეს ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია. ჩვენ მზად ვართ, რომ გავუგზავნოთ ყველა ინფორმაცია, მათ შორის საბუღალტრო ბაზა, ყველა ხელშეკრულება, საბანკო ამონაწერები, და ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ ვერანაირ დარღვევას ისინი ვერ აღმოაჩენენ, ვინაიდან ჩვენ აბსოლუტურად ყველა გადასახადს ვიხდით.

რაც შეეხება გეგმიურ შემოწმებას, „მთავარი არხის“ გაყიდვების სახლის კომპანია დაარსდა 2019 წლის სექტემბერში, შესაბამისად, ფუნქციონირება დაიწყო ოქტომბერში, სამი წელი ჯერ არაა გასული, როგორც წესი, 3 წლის ხანდაზმულობის ვადაში შემოდიან და ამოწმებენ, თუმცა არაა პრობლემა, მობრძანდნენ, შეგვამოწმონ, ნახონ ყველაფერი დეტალურად, – თქვა თეა გვარამიამ.

აღნიშნულ საკითხზე განცხადება გაავრცელა შემოსავლების სამსახურმა.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ეხმაურება ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დამფუძნებლისა და გენერალური დირექტორის მიერ გავრცელებულ განცხადებას და განმარტავს, რომ შემოსავლების სამსახურში მუდმივად ხორციელდება გადამხდელთა გეგმიური საგადასახადო შემოწმება, რომელიც ეფუძნება საგადასახადო კონტროლის ღონისძიებებისთვის გადამხდელთა შერჩევას, ავტომატიზებული ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სისტემაში ინტეგრირებული რისკების შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით, საგადასახადო კონტროლის ღონისძიება ყოველწლიურად ხორციელდება საშუალოდ 8000-ზე მეტ გადამხდელთან მიმართებით.

აღნიშნული მიდგომით, მიმდინარე წლის ივლისის თვეში შერჩეულ იქნა დამატებით 500-მდე გადამხდელი, მათ შორის ტელეკომპანია „მთავარი არხი“-ს მიერ გაუღერებული სარეკლამო სააგენტო, რომელიც სხვა მეწარმე სუბიექტებთან ერთად მომსახურებას უწევს ამ ტელეკომპანიას. შესაბამისად, გაცხადებული საგადასახადო კონტროლის ღონისძიება არ ეხება უშუალოდ სამაუწყებლო კომპანიას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ავტომატიზებულ ელექტრონულ სისტემაში მოხვდნენ სხვა სარეკლამო კომპანიებიც.

აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის სტანდარტულ პროცედურას, რაც ითვალისწინებს გადამხდელის რისკების კამერალურ შესწავლას და შესაბამისი რისკების გაქარწყლების შემთხვევაში მიმდინარე კონტროლის პროცედურის დასრულებას.

დამატებით განვმარტავთ, რომ კამერალური საგადასახადო შემოწმება ითვალისწინებს გადამხდელთან მხოლოდ დისტანციურ კომუნიკაციას და არ გულისხმობს გადამხდელის საქმიანობის ადგილზე რაიმე სახის ქმედების განხორციელებისა და საქმიანობის რაიმე სახით შეზღუდვას.

გამომდინარე აქედან, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ხაზგასმით განმარტავს, რომ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებული განცხადება, სამწუხაროდ, ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და მიზნად ისახავს თემის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანას“– ნათქვამია განცხადებაში.

ნათია თურნავა: „კოვიდის მიუხედავად, საზღვაო სექტორი, პორტები არ გაჩერებულან“

– კოვიდის მიუხედავად, საზღვაო სექტორი, პორტები არ გაჩერებულან, ასეც უნდა გაგრძელდეს მომავალში და ვაქცინაცია არის ამის უტყუარი გზა.

ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, პრემიერ-მინისტრის დავალებით, პირადად აორგანიზებს და ესწრება კიდეც მსხვილი დამსაქმებელი კომპანიების, მნიშვნელოვანი სექტორების თანამშრომლების ვაქცინაციას.

– დღეს ფოთში ვიმყოფები, სადაც საზღვაო, საპორტე ინფრასტრუქტურაში დასაქმებული ადამიანების ვაქცინაცია მიმდინარეობს. ესენი არიან ფოთის ტერმინალის, პორტის თანამშრომლები და საზღვაო სექტორის წარმომადგენლები ფოთში. ეს ის სფეროა, რომელიც უსაფრთხოდ ფუნქციონირებდა დღემდე და მიუხედავად კოვიდისა, ჩვენი პორტები არც ერთი წამით არ გაჩერებულან. ასეც უნდა გაგრძელდეს მომავალში და ვაქცინაცია არის ამის უტყუარი გზა, – განაცხადა თურნავამ.

მინისტრთან ერთად ფოთში იმყოფებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ნინო ვიბლიანი და ეკონომიკის სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელი თამარ იოსელიანი.

მინისტრის შეფასებით, ვაქცინაცია არის ერთადერთი გზა, რითიც შესაძლებელია, თან შევებრძოლოთ და შევაჩეროთ პანდემიის გავრცელება, თან არ ჩავკეტოთ ეკონომიკა და პირიქით, ხელი შევუწყოთ ეკონომიკურ ზრდას.

– მასობრივი ვაქცინაცია საქართველოში დაწყებულია, გვაქვს საკმარისი რაოდენობის დოზები, 2 მილიონი სხვადასხვა ტიპის ვაქცინა არის შემოტანილი ქვეყანაში და კიდევ შემოვა დამატებით „ფაიზერის“ მილიონი ვაქცინა. დიდი მოთხოვნაა ყველა მწარმოებლის ვაქცინაზე, მათ შორის განსაკუთრებით „ფაიზერს“ ელოდა ჩვენი მოსახლეობა და არის შესაძლებლობა, ყველა დარეგისტრირდეს და არსებული წესის მიხედვით ჩაიტაროს ვაქცინაცია, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო კვირის განმავლობაში მინისტრის თანდასწრებით მასობრივი ვაქცინაციის რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის 24 ივლისს ბათუმში, სადაც ასევე საზღვაო სექტორის წარმომადგენლები აიცრნენ.

ნათია თურნავას განცხადებით, მომავალშიც აპირებს, სხვადასხვა დარგების, მსხვილი ბიზნესების, კომპანიების და ორგანიზაციების თანამშრომლების ვაქცინაციის პროცესს დაესწროს.

ვაქცინაციის პორტალზე „ფაიზერის“ დოზები ამოიწურა



ვაქცინაციის პორტალზე „ფაიზერის“ დოზები ამოიწურა, თუმცა ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, ადგილები ერთი კვირის განმავლობაში დაემატება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, ბოოკინგ.მოჰ.გოვ.გე-ზე „ფაიზერის“ ვაქცინის დოზები ამ დროისთვის ამოწურულია, თუმცა, ერთი კვირის განმავლობაში ადგილების მნიშვნელოვანი მატება განხორციელდება.

ამის შესახებ გამყრელიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, ვაქცინების დოზების დამატებისთვის მზადება მიმდინარეობს.

„ფაიზერის“ დოზები მუდმივად, ყოველდღიურად ემატება. მზადდება ადგილების მნიშვნელოვანი მატება ერთი კვირის განმავლობაში“ – განაცხადა გამყრელიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

ცნობისთვის, საიტზე ამ დროისთვის „ფაიზერის“ არც ერთი დოზა განთავსებული არ არის. საიტის მონაცემებით, „სინოვაკის“ 91 706 დოზაა გამოტანილი, „სინოფარმის“ – 106 974 დოზა, ხოლო „ასტრაზენეკას“ – 19 743 დოზა.

„საქართველოში ნორმალური არჩევნების ჩატარება შეუძლებელია“

მამუკა გიორგაძე: „ხელისუფლება ეკლესიას ამოეფარა“

მარიამ მჭედლიშვილი

რას ნიშნავს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა 2020 წლის არჩევნების შესახებ? როგორ ტარდება არჩევნები საქართველოში? ვინ უწყობს ხელს საზოგადოებაში კონფლიქტს? სად იკვეთება ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები? რა არის მოსალოდნელი მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.



– პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არ გაყალბებულა. თქვენ რას იტყვით? არჩევნების შემდეგ აქცენტს აკეთებდით მართვადი ქაოსის ახალ ტალღაზე, რომელიც მოსკოვში დაიგეგმა.

– დროებითმა საგამოძიებო კომისიამ პატარა მუგუზალი ჩადო იმ პროცესებში, რომლებიც მიმდინარეობს. ჩვენთან ასეთი კომისიები ყოველთვის მხარეს წარმოადგენს. ჯერ არ გვაქვს იმის კულტურა, რომ კომისიამ ჭეშმარიტება დაადგინოს და მისცეს მოვლენას პოლიტიკური შეფასება. კომისია მხარეა, ამიტომ მისი დასკვნა იწვევს უნდობლობას ქვეყანაში და არსებულ დაპირისპირებას კიდევ უფრო ზრდის.

– იქნებ ტოტალურად არ გაყალბებულა არჩევნები?

– არსებული საარჩევნო კოდექსით ნორმალური, სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოუწესრიგებელია საარჩევნო სიები. გარდა ამისა, არჩევნებზე და წინასაარჩევნოდ იხარჯება უზარმაზარი უკანონო ფული. საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისათვის ეს არის ასტრონომიული თანხები. ჩვენ ხომ აშშ-ის მსგავსი სახელმწიფო არა ვართ, რომ ამდენი დაიხარჯოს! ამას ემატება მიბმულობა დამსაქმებელზე.

– გულისხმობთ ბიუჯეტის კმაყოფაზე მყოფ პირებს, რომლებიც იძულებული არიან, ხმა მმართველ პარტიას მისცენ?

– მათაც და ხშირ შემთხვევაში კერძო სექტორსაც. გვყავს უამრავი ჩინოსანი. რატომღაც თანამდებობის პირების ოჯახების წევრები არიან ისეთი „ნიჭიერები“, რომ ყველგან საქმდებიან. ბიზნესიც ხომ სახელისუფლებოა! ის ჩამოკიდებულია ხელისუფლებაზე, დასაქმებული – დამსაქმებელზე. გვყოლია დიზაინერები, არქიტექტორები, რომლებმაც მაშინ გაიბრწყინეს, როცა მათი ოჯახების წევრები იყვნენ პარლამენტის სპიკერატში. რაც ისინი აღარ არიან პარლამენტის ხელმძღვანელობაში, იმათი შემოქმედებაც გაქრა. ამიტომ ვამბობ მიბმულობაზე.

– მომავალ არჩევნებზე არაფერი შეიცვლება?

– როგორც გითხარით, ჯერჯერობით, საქართველოში ნორმალური არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. არის იმის საშიშროებაც, რომ მომავალი არჩევნების შემდეგ გამეორდეს იგივე, რაც ცოტა ხნის წინ მოხდა. საგამოძიებო კომისიები ჩვენთან ვერ დებენ შედეგს. სხვაგან ისინი შესანიშნავად მუშაობენ. ეს შეიძლება ითქვას 2008 წლის მოვლენებზე.

– სააკაშვილის დროს იძიებდა საპარლამენტო კომისია ამ ამბებს.

– მეც ამას ვამბობ, რომ იკვლევდა, მაგრამ დასკვნა არ დადო. 2012 წლიდან სხვა ხელისუფლება მოვიდა. იმას მაინც ხომ უნდა გამოეკვლია?! „ქართულმა ოცნებამ“ ეს არ გააკეთა. არ აწყობდა. არ უნდოდა ობიექტური დასკვნის გამოტანა. ეს არც არის გასაკვირი. ნაცმოძრაობას და „ქართულ ოცნებას“ ერთი და იგივე პატრონი და კურატორები ჰყავთ. ღიტვაში წლების შემდეგ გამოიძიეს 1991 წლის 13 იანვრის მოვლენები და ხალხის დარბევა. ჩვენ 9 აპრილის მოვლენებს არ ვუბრუნდებით. დავკმაყოფილდით საბჭოთა პერიოდის დასკვნით. ვინმემ გამოიძია, როგორ დაიღუპა მერაბ კოსტავა? იქნებ ვინმემ წინასწარ მწყობრიდან გამოიყვანა მანქანა? გიორგი ჭანტურიას და ზვიად გამსახურდიას ამბებიც გამოუძიებელია. მარტო ის კი არაა გასარკვევი, ვინ გააკეთა ეს. დასადგენია, რისთვის მოიცილეს ეს პიროვნებები. თუ ამას გავარკვევთ, შესაბამისი გზა და სტრატეგია უნდა ავირჩიოთ.



– 2020 წლის არჩევნების შემდეგ მართვადი ქაოსის გააქტიურებაზე საუბრობდით. რუსეთმა არჩევნების საკითხი საბაბად გამოიყენა?

– რა თქმა უნდა. საბაბი ნებისმიერი შეიძლება იყოს. საბაბი ემოციებს უნდა იწვევდეს. ასეთი თემები ბოლო დროს იყო. დაპირისპირებას საზოგადოებაში ხელს უწყობდნენ როგორც ხელისუფლება, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები. ავიღოთ ასეთი მტკივნეული თემა – პრეზერვატივებზე წმინდანების გამოსახვა. ეს სამართლებრივი კი არა, კულტურის საკითხია. ტუალეტები იკეტება. კანონში არ წერია, რომ კარი უნდა დაკეტო. შენ კარს კეტავ იმიტომ, რომ პატივს სცემ გარშემომყოფებს. საუბედუროდ, ხელისუფლებამ საზოგადოებასთან ერთად ვერ შექმნა ის მორალური კლიმატი, რომელიც თავიდან აგვაცილებდა დაპირისპირებას ამ ნიადაგზე.

– დაუწერელი კანონებიც ხომ არსებობს? ჯერ კიდევ ანტიკური ლიტერატურა ამტკიცებდა, რომ დაუწერელი კანონები დაწერილზე მნიშვნელოვანია.

– დიახ. ყველა კანონის მიმართ იხმარება ასეთი სიტყვა „კანონის სულისკვეთება“. უნდა ვიცოდეთ, რისთვის ვიღებთ რომელიმე კანონს. ხანდახან მორალური შემაკავებლები მუშაობს. თუ მიზანმიმართულად შეურაცხყოფ სხვას, ან ავადმყოფი ხარ, ან – პროვოკატორი. ხელისუფლება არ არის შემაკავებელი. დაპირისპირებისას ხელისუფლება წამქეზებელი და სტიმულის მიმცემია. ამ დროს ხდება დემოკრატიით აპელირება. ამბობენ, თითქოს დემოკრატია ყველას ყველაფრის უფლებას აძლევს. სინამდვილეში, დემოკრატიულ ქვეყნებში ასე არაა. იქ მუშაობს მორალური შემაკავებლები.

– საქართველოში ბოლო ხანს დემოკრატიისა და დასავლეთის დისკრედიტაციაც გააქტიურდა.

– ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებამ უნდა შექმნას მორალური კლიმატი. დავით აღმაშენებლის მეფობისას ელიტა იგივე დარჩა, რაც გიორგი მეორეს დროს იყო. შეიცვალა 5 თუ 6 პიროვნება. გამოჩნდნენ დავითი, გიორგი ჭყონდიდელი, არსენ იყალთოელი, კიდევ ორიოდე კაცი და სიტუაცია შეიცვალა.

– ჩვენთან მორალური კლიმატი კრიტიკას ვერ უძლებს?

– ეს 5-6 ივლისსაც გამოჩნდა. საზოგადოებაში არსებობენ რადიკალური ჯგუფები. ხელისუფლებამ მათ გასაქანი კი არ უნდა მისცეს, უნდა შეაკავოს. ხელისუფლებას შეეძლო, არსებული საფრთხიდან გამომდინარე აეკრძალა ე. წ. მარშის ჩატარება.

– ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ მისი გამართვა მიზანშეუწონელია.

– ეს თვალთმაქცობაა. ერთი მხრივ, უშვებ ამ ღონისძიებას, მეორე მხრივ, ხელს უწყობ რადიკალურ ჯგუფებს. ეს ანტისახელმწიფოებრივია, ისევე, როგორც ეკლესიის გამოყენება და მის ზურგს უკან დამალვა.

– ხელისუფლებამ ეკლესია გამოიყენა?

– ხელისუფლება ეკლესიას ამოეფარა და დაუშვა, რომ ტალახი მისთვის ესროლათ. თუ ეკლესიის და მისი უწმინდესობის მიმართ ნორმალური დამოკიდებულება გაქვს, ხანდახან არაპოპულარულ ნაბიჯებზეც უნდა წახვიდე! ხელისუფლება კი ეკლესიას ეფარება.

– არჩევნებს დავუბრუნდეთ. თვითმმართველობაზე რომ საუბარი არ იქნება, ცხადია. რას უნდა ველოდოთ?

– სხვა სახელმწიფოებში არჩევნები სიტუაციის განმუხტვის საშუალებაა, ჩვენთან კი – დაპირისპირების საბაბი. თვითმმართველობა არავის ახსოვს. ის, რომ არც „ქართული ოცნება“ და არც წინა პლანზე მყოფი ოპოზიცია არ საუბრობენ თვითმმართველობაზე, ადასტურებს, რომ ეს ძალები იდენტურები არიან. გასაგებია, რომ იქნება ბევრი საუბარი 43%-ზე. მთავარია, რა იცვლება. შესაძლებელია, რომ „ოცნებამ“ ეს ბარიერი ვერ გადალახოს და თქვას, რომ ვადამდელ არჩევნებს მაინც არ ჩაატარებს, იმიტომ, რომ ეს კანონში არ უწერია.

– ვარაუდობთ, რომ „მიშელის შეთანხმება“ დაირღვევა?

– მსგავსი დარღვევები და უპირობა არ გვინახავს?! ამ არჩევნების შემდეგაც იქნება პროტესტი და უკმაყოფილება. ერთადერთი, ოდნავ შეიცვლება კონფიგურაცია და გაჩნდებიან ახალი მოთამაშეები.

ეკონომიკა

„გაურკვეველ ვითარებაში ყოფნა ჩვენთვის უმძიმესია“

The North Face-is, Timberland-ის, Diesel-ის და სხვა მსოფლიო ბრენდების წარმომადგენელი კომპანია „მეგასპორტის“ დამფუძნებელი და დირექტორი დავით ჩხეიძე ხელისუფლებას ვაქცინაციის პროცესის გააქტიურებისკენ მოუწოდებს. BM.GE-თან საუბრისას ჩხეიძე ამბობს, რომ აჭარაში დღეს არსებული მძიმე ეპიდვითარება ბიზნესს გაურკვეველ ვითარებაში და ახალი შეზღუდვების დაწესების მოლოდინში ამყოფებს, რაც სექტორისთვის უმძიმესია.

ჩხეიძე მოუწოდებს შესაბამისს პირებს, რომ რიგი სერვისების მიღების უფლება მხოლოდ აცრილი მოქალაქეებისთვის იყოს შესაძლებელი.

„ყველაზე სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია ვაქცინაციის მაქსიმალური პრომოუშენი, ამას ალტერნატივა არ აქვს. ვაქცინაცია ნებისმიერი ვაქცინით არ გვკლავს, თავიდან ვიშორებთ მძიმე მკურნალობის კურსს და აუცილებელია ამის საზოგადოებამდე მიტანა.

მე მივესალმები იმ ტენდენციას, საითაც მიდის ევროპის არაერთი ქვეყანა, დაიწყო სერიოზული საუბარი იმაზე, რომ გარკვეული სერვისების მიღება, იქნება ეს რიტეილი, რესტორნები თუ სხვა, შესაძლებელი იქნება მხოლოდ ვაქცინირებული მოქალაქეებისთვის. მესმის, რომ ეს გამოიწვევს რაოდენობის შემცირებას, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ექნება დადებითი ეფექტი.

როცა ვამბობთ, რომ ტურისტიც გვინდა, სასტუმროებმაც უნდა იმუშაონ, ჩვენც მათზე ვართ დამოკიდებულები, იმიტომ, რომ ჩვენთანაც ის ტურისტები მოდიან, მათთან შესაბამისი პროცედურული საკითხები უნდა გვქონდეს დალაგებული. ვიცით, რომ რუსეთიდან ძალიან დიდი ნაკადები აყალბებენ ამ საბუთებს და ისე შემოდიან, ამის პრევენციისთვის რამე ხომ უნდა გავაკეთოთ? კატასტროფა ხდება აჭარაში, ეს ხომ გამოიწვევს იმას, რაც წინა წელს იყო? როგორ შეიძლება ვერ ვისწავლოთ დაშვებულ შეცდომებზე? ევროპაზე როცა ვლაპარაკობთ, ისინი სხედან და ფიქრობენ, რომ მეორედ აღარ დაუშვან იგივე და ჩვენ სულ ერთიდაიგივე როგორ შეიძლება ვაკეთოთ?

გაურკვეველ ვითარებაში ყოფნა უმძიმესია ჩვენთვის, არ ვიცით ხვალ რა იქნება, გავაკეთოთ შეკვეთები თუ არა, ჩაგვკეტავენ თუ არა. ამ დროს ხდება ზამთრის სეზონისთვის მზადება და არაფრის გარანტია არ გვაქვს“ – აცხადებს ჩხეიძე.

„კავკასუს ონლაინში“ სპეციალური მმართველი ისევ იცვლება

„კავკასუს ონლაინში“ სპეციალური მმართველი ისევ იცვლება – შესაბამისი საკითხი 29 ივლისის კომისიის სხდომის დღის წესრიგშია შეტანილი. ამ დრომდე პოსტს თამარ ბოკუჩავა იკავებდა, რომელიც სპეციალური მმართველის თანამდებობაზე 15 აპრილს დანიშნეს. ბოკუჩავამ თავის მხრივ მარიამ სულაბერიძე ჩაანაცვლა, რომელიც ამავდროულად სახელმწიფო კომპანია „ოუფენ ნეტის“ დირექტორია. ოუფენ ნეტი ქვეყანაში საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტს ახორციელებს. სულაბერიძემ კომუნიკაციების კომისიას თავად მიმართა თხოვნით, გაეთავისუფლებინათ დაკავებული თანამდებობიდან.

ვის დანიშნავს კომისია სპეციალური მმართველის თანამდებობაზე, დღის წესრიგში არ წერია.

შეგახსენებთ – 2019 წელს „კავკასუს ონლაინის“ მშობელ კომპანიასა და აზერბაიჯანულ ჰოლდინგ „ნექსოლს“ შორის წილების გაყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების მოცულობა $61 მილიონ დოლარს შეადგენსა და მის ფარგლებში ნექსოლი „კავკასუს ონლაინის“ ჯერ 49%-იან, შემდგომ კი 51%-იან წილს იღებდა.

კომუნიკაციების კომისიაში მიიჩნევენ, რომ ეს ტრანზაქცია კანონდარღვევით მოხდა, რადგან კომპანიამ წილების გასხვისებამდე ეს ცვლილება მარეგულირებელს არ შეუთანხმა. ამიტომ კომისია წილების შებრუნებას ითხოვს.

2019 წლის ოქტომბრიდან „კავკასუს ონლაინს“ 5 ფულადი ჯარიმა დაეკისრა, მათ შორის სამჯერ 270 ათასი ლარის ოდენობით. ბოლო სხდომაზე კი კომისიამ სპეციმმართველის დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო, რომელსაც კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება ევალება. აღსანიშნავია, რომ სპეციმმართველს საკმაოდ დიდი უფლებამოსილებები გააჩნია, მას შეუძლია თანამდებობიდან გაათავისუფლოს დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, გააბათილოს ბოლო 1 წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებები, შეზღუდოს კომპანიაში დივიდენდის გაცემა და ა.შ.

სანამ კომპანიის სპეციმმართველი დაინიშნებოდა, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტმა დაამტკიცა. კერძოდ, 2020 წლის ივლისში საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ დაჩქარებული წესით მიიღო კანონი, რომელმაც კომისიას უფლება მისცა, კომუნიკაციების სექტორში მოქმედ კომპანიებში სპეციალური მმართველი დანიშნოს.

ეს კანონი პრობლემურად მიაჩნია ვენეციის კომისიას, რომელმაც 2021 წლის 20 მარტს გამოქვეყნებული გადაწყვეტილებით, საქართველოს ამ ახალ კანონმდებლობაში რიგი ცვლილებების განხორციელებისკენ მოუწოდა.

„კავკასუს ონლაინში“ სპეციალური მმართველის დანიშვნა „ნექსოლმა“ როგორც საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალში, ასევე ქართულ სასამართლოშიც გაასაჩივრა. თუმცა, კავკასუს ონლაინთან დაკავშირებით ჩატარებულ ბოლო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ მხარეები მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

ნათია თურნავა: „საქართველოში „ლოკდაუნი“ არ იგეგმება“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა განმარტავს, რატომ არ იგეგმება საქართველოში „ლოკდაუნი“ და აცხადებს, რომ ეკონომიკის ჩაკეტვა დაკარგულ შემოსავლებს ნიშნავს.

როგორც თურნავამ ჟურნალისტებს განუცხადა, გამომდინარე იქიდან, რომ მასობრივი ვაქცინაციის შესაძლებლობა არსებობს, „ლოკდაუნი“ არ იქნება. მისივე თქმით, არც რომელიმე კონკრეტული სექტორის ჩაკეტვა იგეგმება.

„ჩაკეტვას არ ვგეგმავთ იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანებმა იმუშაონ, ოჯახებს ჰქონდეთ შემოსავალი, ეკონომიკა განვითარდეს. წინა პერიოდთან შედარებით განსხვავება ისაა, რომ საკმარისი რაოდენობის ვაქცინაა. სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ვაქცინაცია დროულად ჩაიტაროს. სწორედ ამ გზით გადავლახოთ არსებული სიტუაცია და ასე ვებრძოლოთ კოვიდს და არა ჩაკეტვით. ჩაკეტვა არის მიუღებელი ფორმა.

რაც შეეხება გამკაცრებას, ჩვენ კვლავ რეკომენდაციებს ვიძლევით, რომ პირბადე ატარონ, დაიცვან რეკომენდაციები. დაწესებულებებში ამ წესებს იცავენ, სადაც არ იცავენ – კონტროლდება.

ამის გარდა, რაიმე სექტორული, წერტილოვანი შეზღუდვების და რომელიმე დარგის ჩაკეტვის გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მასობრივი ვაქცინაციით გადავლახოთ ეს ტენდენცია.

„ლოკდაუნს“ არ ვაპირებთ. „ლოკდაუნის“ შემთხვევაში ნებისმიერი ჩაკეტილი სფერო არის დაკარგული სამუშაო ადგილები, დაკარგული შემოსავლები. ეს პრაქტიკა გლობალურად არსებობდა და საქართველოც პანდემიის დასაწყისში ამას აკეთებდა, გამოცდილება ნაკლები იყო და ვაქცინებიც არ არსებობდა. ჩვენ გასული წელი -6%-ით დავასრულეთ, ეს იყო მტკივნეული, მაგრამ გარდაუვალი. დღეს, რადგან შეგვიძლია მასობრივი ვაქცინაცია, ამ გზას აღარ მივყვებით“ – განაცხადა თურნავამ.

რაც შეეხება ტურიზმს, თურნავა ამბობს, რომ ტურისტული სექტორი „საკმაოდ უსაფრთხოა“.

„ტურისტული სექტორი ერთ-ერთი პირველია, რომელშიც დავიწყეთ ვაქცინაცია მაშინაც კი, როდესაც ვაქცინები არ იყო ისეთი ხელმისაწვდომი, როგორიც დღეს არის, შესაბამისად, ტურისტული სეზონი ჩვენთან საკმაოდ უსაფრთხოა“ – განაცხადა თურნავამ.

ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წლის 11 ივლისიდან ძებნილი ორი პირი – 1987 წელს დაბადებული ი.გ. და 1992 წელს დაბადებული თ.ჭ. თბილისში მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

ი.გ. „ქურდული სამყაროს“ წევრობის, ხოლო თ.ჭ. „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის ბრალდებით იძებნებოდნენ.

დანაშაულები 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ორივე ბრალდებული აღიარებდა „ქურდულ სამყაროს“ და აქტიური კავშირი ჰქონდა „ქურდული სამყაროს“ სხვა წევრებთან. ასევე დადგენილია, რომ თ.ჭ. და ი.გ. აქტიურად მონაწილეობდნენ ე.წ. ქურდული სამყაროს საქმიანობაში იმ პირებთან ერთად, რომლებიც ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და რუსთავის რაიონული პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული ექვსთვიანი კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წლის 8 ივლისს იქნენ დაკავებული. თ.ჭ., „ქურდულ სამყაროში“ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად, აგრეთვე მონაწილეობდა „ქურდულ გარჩევებში“.

ი.გ. სამართალდამცველების მიერ საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის იძებნებოდა, რაც „ქურდული სამყაროს“ წევრობას გულისხმობს, ხოლო თ.ჭ. სსკ-ის

223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილითა და 223-ე პრიმა-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის იყო ძებნილი, რაც „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობას გულისხმობს. ორივე მათგანს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა და სასამართლოს მიერ პატიმრობა შეეფარდა.

დაკავებულები ამჟამად პენიტენციურ დაწესებულებაში არიან მოთავსებული.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და რუსთავის რაიონული პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული ექვსთვიანი კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პასუხისგებაში მიეცა „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 31 პირი – მათ შორის 25 სამართალდამცველებმა მიმდინარე წლის 8 ივლისს დააკავეს, 4 პირს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წარედგინა ბრალი, ხოლო 2 პირი – ი.გ. და თ.ჭ. ამავე საქმეზე, სამართალდამცველების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე იძებნებოდნენ.

სპეცოპერაცია საქართველოს მონაწილეობით

კიევში თურქეთის 2 მოქალაქე დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, უკრაინაში ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ჩატარებულ საერთაშორისო სპეცოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა.

რვა თვის განმავლობაში მიმდინარე მასშტაბურ სპეცოპერაციაში სამი ქვეყნის – სომხეთის, საქართველოს და უკრაინის სამართალდამცველები მონაწილეობდნენ.

პოლიციამ მიმდინარე წლის 22 ივლისს, ქალაქ კიევში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის ფაქტზე დააკავა ორგანიზებული დაჯგუფების ორი წევრი, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები არიან.

სომხეთის, საქართველოს და უკრაინის სამართალდამცველებმა, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების მხილების მიზნით, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების ფარგლებში, საერთაშორისო კონტროლირებადი მიწოდება განახორციელეს.

ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების ფარგლებში დადგინდა, რომ ტრანზიტულად გადასაზიდ ტვირთში დამალული იყო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც ირანის ისლამური რესპუბლიკიდან, სომხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს გავლით, უკრაინაში უნდა ყოფილიყო გადაზიდული, საიდანაც, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მისი ცენტრალურ ევროპაში გატანა მოხდებოდა.

პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით, დაახლოებით 368 კგ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლის ღირებულება შავ ბაზარზე დაახლოებით 75 მილიონ ლარს შეადგენს.

გამოძიებას უკრაინელი სამართალდამცველები განაგრძობენ. დანაშაული 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სუსმა 27 აფთიაქში ფსიქოტროპული მედიკამენტებით უკანონო ვაჭრობის ფაქტი გამოავლინა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელთა ერთობლივი ღონისძიებების შედეგად თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ლაგოდეხში, გურჯაანსა და საგარეჯოში გამოვლენილია 27 აფთიაქი, სადაც სისტემატურად ხორციელდებოდა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უკანონო ვაჭრობა.

ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიების შედეგად დგინდება, რომ ზემოხსენებული 27 აფთიაქიდან ფსიქოტროპული მედიკამენტების რეალიზაციისათვის ავტორიზებულია მხოლოდ სამი, ხოლო დანარჩენს სათანადო ნებართვა არ გააჩნია. თუმცა, როგორც ავტორიზებულ, ასევე ნებართვის არმქონე აფთიაქებში სისტემატურად ხორციელდებოდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული, პირველი ჯგუფის ფსიქოტროპული მედიკამენტების ექიმის დანიშნულების გარეშე რეალიზაცია.

„2021 წლის 30 ივნისიდან 2021 წლის 23 ივლისის ჩათვლით, მოსამართლის განჩინების ფარგლებში, 34 პირისგან, ჯამში, 96-ჯერ განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა, რა დროსაც ყოველგვარი რეცეპტისა და პიროვნების დამდგენი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე, ფარმაცევტებმა უკანონოდ გაასაღეს ფსიქოტროპული მედიკამენტები და ამასთან, არ გააფორმეს სალაროს აპარატის ქვითარი.

საკონტროლო შესყიდვის ფარგლებში შეძენილია ისეთი ფსიქოტროპული მედიკამენტები, როგორებიცაა – ბაკლოსანი, გაბაგამა, გაბაპენტინი, დიაზეპამი, ქსანაქსი და სხვა.

ამ წუთებში ყველა ხსენებულ ობიექტში მოსამართლის განჩინების საფუძველზე მიმდინარეობს ჩხრეკა, რომლის დასრულების შემდგომაც ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მართლზომიერების დასადგენად ჩატარდება საგადასახადო რევიზია.

გამოძიების მიერ იდენტიფიცირებული ფსიქოტროპული მედიკამენტების რეალიზებაში ჩართული ყველა პირის მიმართ უმოკლეს ვადაში დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო იურიდიული პირების მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გამოძიება უკანონო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე მიმდინარეობს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

„33 წლის მამაკაცს 13 წლის გოგონად გავეცანი, მის წერილებში სექსუალური ხასიათის ნიშნები იყო“

პოლიციას ჩვენება იმ დაზარალებულმა მისცა, რომელმაც სავარაუდო პედოფილიის ფაქტზე 33 წლის მამაკაცი ამხილა.

ქალი დარწმუნებულია, რომ მამაკაცი სხვა არასრულწლოვნებსაც წერდა.

ქალს ტვ პირველი ესაუბრა.

– საუბრის დასაწყისშივე მკითხა ასაკი და ხუმრობით ვუთხარი, რომ 13 წლის ვიყავი. ჩემი ფეისბუქფოტოებიც ადასტურებს, რომ მე 13 წლის არ ვარ, აშკარა იყო, რომ ამ ადამიანს ვეხუმრებოდი, თუმცა, როდესაც მითხრა, რომ 33 წლისაა და გააგრძელა ჩემთან საუბარი, როგორც 13 წლის ბავშვთან, შემეპარა ეჭვი. მთხოვა ფოტოების გადაგზავნა, დამეგობრება. მისი წერილები შეიცავდა სექსუალური ხასიათის ნიშნებს. გადაწყვეტილი მქონდა, მისი ვინაობა დამედგინა. ვთხოვე ისეთი ფოტოების გამოგზავნა, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ფოტოებს ის იმ მომენტში იღებდა.

ეჭვი შევიტანე, რომ სხვა არასრულწლოვან გოგონებთან ჰქონდა მიმოწერა და ისინი საფრთხის ქვეშ იყვნენ, სწორედ ამან გადამაწყვეტინა, რომ მომერგო ეს როლი და ამ ადამიანის ვინაობა დამედგინა, – აცხადებს მოქალაქე.

„ტვ პირველი“ სავარაუდო პედოფილის კვალზე გავიდა, რომელიც არასრულწლოვან ბავშვებს, სავარაუდოდ, სისტემატიურად ავიწროვებს.

33 წლის მამაკაცი, რომლის წინააღმდეგაც სამართალდამცველებს მტკიცებულებები აქვთ, ჯერ კიდევ თავისუფალია. ირკვევა, რომ სექსუალურ ძალადობაში დადანაშაულებული მამაკაცი გომელაურის უწყების თანამშრომლებმა გამოჰკითხეს, თუმცა მისი დაკავება საჭიროდ არ ჩათვალეს.

რუსთავში მცხოვრები 33 წლის ირაკლი ტვ პირველს სატელევიზიო ინტერვიუზე არ დათანხმდა, თუმცა სატელეფონო საუბრისას დეტალურად აღწერა, თუ რატომ წერდა სოციალურ ქსელში ახალგაზრდა გოგონას.

ირაკლი ამტკიცებს, რომ დარწმუნებული იყო გოგონას სრულწლოვანებაში, ამიტომაც ჰქონდა მიმოწერა. ამასთან აღიარებს, რომ მისი ქმედება დანაშაულის ნიშნებს ნამდვილად შეიცავს, იმასაც ჰყვება, რომ პოლიციამ გამოჰკითხა, თუმცა ხელწერილის საფუძველზე გაუშვა.

ბათუმში განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 17 წელი მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ზ.დ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 6 ნოემბერს, ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ ბინაში, ზ.დ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით, ტ.ჩ.-ს დანით სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა. ტ.ჩ. მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ზ.დ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ზ.დ. 2020 წლის 13 ნოემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ზ.დ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გორში მამაკაცი 10 წლის გოგონას ფეისბუქში თანატოლ გოგონად გაეცნო და მისგან ინტიმური მიმოწერა მოიპოვა

გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, გარყვნილი ქმედებისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულების ფაქტებზე გ.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე დადასტურდა, რომ 2020 წლის 10 ივნისს, გ.გ. ფეისბუქში 10 წლის არასრულწლოვანს მისივე თანატოლ გოგონად გაეცნო, რითაც შევიდა მასთან ნდობაში და დაზარალებულისგან უკანონოდ მოიპოვა პირადი საიდუმლოს ამსახველი ინტიმური ხასიათის მიმოწერა, ფოტოები და ვიდეო ფაილები, რის შემდეგაც ბრალდებული არასრულწლოვანს უკვე მოპოვებული პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ინფორმაციის გავრცელებით დაემუქრა. ამას გარდა, გ.გ.-მ დაზარალებულს ვიდეოზარით დარეკვა და სექსუალური ხასიათის ქმედებების შესრულება მოსთხოვა.

სამართალდამცველებმა გ.გ. 2020 წლის 16 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1571-ე მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა – პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება), 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (გარყვნილი ქმედება – ძალადობის გარეშე სრულწლოვანის გარყვნილი ქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან) და 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ცხრიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გორის რაიონულმა სასამართლომ გ.გ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ბორჯომში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.

სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, მოქალაქემ, სოფელ ყვიბისის მიმდებარე ტყეში, უკანონოდ მოიპოვა ნაძვის სახეობის ხე-მცენარეები და მათგან მიღებული 17 ერთეული დაუფირნიშებელი მრგვალი მორის უკანონო ტრანსპორტირება მოახდინა.

დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ფაქტზე სამართალწარმოება დაიწყეს. მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებაში გადაიგზავნა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2021 წლის 1 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით, ქვეყნის

მასშტაბით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 209 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის, 11 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

აშშ-ის საბრძოლო ძალები ერაყს წლის ბოლომდე დატოვებენ

აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის განცხადებით, აშშ-ის საბრძოლო ძალები ერაყს მიმდინარე წლის ბოლომდე დატოვებენ, თუმცა ამერიკელი ჯარისკაცები ერაყელი სამხედროების წვრთნასა და მათთვის რჩევის მიცემას განაგრძობენ.

შესაბამისი განცხადება აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ერაყის პრემიერ-მინისტრ მუსტაფა ალ-კადიმთან თეთრ სახლში გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

– ჩვენი როლი ერაყში იქნება ის, რომ გავაგრძელებთ ტრენინგს და დახმარებას, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ, რომ წლის ბოლოსთვის საბრძოლო მისიაში ვიყოთ. ჩვენი ანტიტერორისტული თანამშრომლობა გაგრძელდება მაშინაც კი, როდესაც ამ ახალ ეტაპზე გადავალთ, – აღნიშნა ჯო ბაიდენმა.

2003 წელს საერთაშორისო კოალიციის ძალები, აშშ-ის მეთაურობით, ერაყში შევიდნენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად და მასობრივი განადგურების იარაღის აღმოსაფხვრელად, რომლის არსებობაც არ დადასტურდა.

აშშ-მა ერაყიდან საბრძოლო ჯარები 2011 წელს გაიყვანა, თუმცა, 3 წლის შემდეგ, ერაყის მთავრობის თხოვნით, კვლავ შეიყვანა, ვინაიდან ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში სწრაფად გააქტიურდნენ.

2017 წელს ერაყში ისლამური სახელმწიფოს სამხედრო მარცხის შემდეგ, აშშ-ის ძალები ქვეყანაში მათი კვლავ აღზევების თავიდან ასაცილებლად დარჩნენ.

ამჟამად ერაყში 2.500 ამერიკელი სამხედრო იმყოფება.

ნატო ავღანეთის მხარდაჭერას განაგრძობს

ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ის ავღანეთის პრეზიდენტ აშრაფ ღანის ესაუბრა, რათა დაერწმუნებინა, რომ ნატო ავღანეთის მხარდაჭერას განაგრძობს.

მისი თქმით, ავღანეთში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაცია ძალიან რთულია.

– კარგი საუბარი მქონდა პრეზიდენტ აშრაფ ღანთან. ავღანეთში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაცია ძალიან რთულია და მოლაპარაკებების გზით გადაჭრას საჭიროებს. ნატო გააგრძელებს ავღანეთის მხარდაჭერას, მათ შორის დაფინანსებით, სამოქალაქო პირების გაგზავნით და ქვეყნის გარეთ ტრენინგების ჩატარებით, – აღნიშნა სტოლტენბერგმა.

ადმირალ ლობანოვის ოჯახი ამოხოცეს

უცნობი პირები ადმირალ ლობანოვის ოჯახს მხეცურად გაუსწორდნენ. მათ მოკლეს ადმირალის 84 წლის ქვრივი და 56 წლის ვაჟი.

მოკლულებს გამოუფატრეს მუცელი და დაუზიანეს თავები.

თავად ლობანოვი ამა წლის 16 ივლისს დაიღუპა. ის ელმავლის ქვეშ მოყვა.

ადმირალის ოჯახის მკვლელობის საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

დავით ფოცხიშვილის ქორეოგრაფიული ფილმი საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობს

ქორეოგრაფ დავით ფოცხიშვილის ფილმი „მისტერია“ ოთხ საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

ფილმი მიწვეულია კანის ფესტივალზე, რომელიც 5-7 აგვისტოს ჩატარდება, თესალონიკის ფესტივალზე, რომელიც 24-25 სექტემბერს გაიმართება, ბუქარესტის ფესტივალზე, რომელიც 1 აგვისტოს გაიხსნება და 1 სექტემბერს დასრულდება და ლოს ანჯელესის ფესტივალზე, რომელიც 6 დეკემბერს აიღებს სტარტს და 20 იანვარს დასრულდება.

მოკლემეტრაჟიანი ქორეოგრაფიული ფილმის იდეის ავტორი, რეჟისორი, სცენარისტი, მოცეკვავე და ქორეოგრაფი დავით ფოცხიშვილია. შემოქმედებით ჯგუფში გაერთიანებული არიან ქართული ტრადიციული სამოსის ბრენდი ფაფანაკი, ოპერატორი სანდრო ვისოცკი, ოპერატორის თანაშემწე ლაშა ასანიძე, კომპოზიტორი მარკ კორვენი, ქართული ტრადიციული მუსიკის გოგონათა ანსამბლი „იალონი“, სიმღერას ასრულებს ლიკა ლიპარტელიანი, სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ნანეიშვილი, ცეკვა „ქართული“– ის ახალი მუსიკალური ინტერპრეტაციის ავტორი ილუშა ცინაძე. ფილმში გამოყენებულია ფრაგმენტები შოთა რუსთაველის პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“, რომლებსაც გოგი ხარაბაძე კითხულობს, თარგმანი კი მარჯორი უორდროპს ეკუთვნის. ხმის რეჟისორი ემზარ შარვაშიძეა, ფილმის მონტაჟი კი გალაკტიონ კინწურაშვილს ეკუთვნის.

ფილმში მონაწილეობენ ქორეოგრაფი, მსახიობი და ქართული ნაციონალური ბალეტ „მეტეხ“-ის დამფუძნებელი: გელოდი ფოცხიშვილი, ფოცხიშვილების ნაციონალური ბალეტის სოლისტი და ქორეოგრაფი ნინო ქართველიშვილი, ფოცხიშვილების ნაციონალური ბალეტის სოლისტი ელენე წიკლაური, ფოცხიშვილების ბავშვთა ნაციონალური ბალეტის სოლისტი მარიშა ლოლაძე, ფოცხიშვილების ბავშვთა ნაციონალური ბალეტის სოლისტი ვაჩე ფოცხიშვილი, პატარა მსახიობი გაბრიელ ფოცხიშვილი, ქართული ცეკვის ანსამბლის „აბჯარი“ სოლისტი კოკა გერგაია.

– ფილმის ტექნიკური მენეჯერი ნონა ჯანდაგაშვილია, კვამლის გენერატორის ოპერატორი გენადი ელოშვილი და ლევან ხუბაევი არიან. ინგლისური ტექსტის კორექცია თამარ ხეცურიანს ეკუთვნის. მადლობას ვუხდი ლი კვანგბოკს და სანო სტუდიას. ფილმის გადაღება შედგა საქართველოში სვანურ კოშკში და ამისთვის დიდი მადლობა გრიშა ონიანს, – აცხადებს ფილმის ავტორი დავით ფოცხიშვილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გია ჯაჯანიძე: „უარყოფითი ფიქრები და აგრესია სასიცოცხლო ენერგიისგან გცლის“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დარჩენილი დღეები, რადგან ყოველი წამი ღვთისგან ნაჩუქარი ჩემია და ბედნიერი უნდა ვიყო.

ეს ყველაფერი თავისით და მექანიკურად ხდება.

არასოდეს არ მითქვამს: თურმე მაშინ რა ბედნიერი ვიყავი და არ ვიცოდი.

ყველა დროს ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მიუხედავად გაჭირვებისა, ტანჯვისა, არ ქონისა, დაჩაგვრისა და წარუმატებლობისა.

როგორ შეიძლება იტანჯებოდე და ბედნიერი იყო ერთდროულად?

მარტივი პასუხი: გარდაცვლილი არ იტანჯება და არ წუხს.

ახალი დღე დაიწყო, ცოცხალი ვარ და ბედნიერი ვარ.

ბევრი შეიძლება არ დამეთანხმოს, გაუგებარიც იყოს, მიუღებელიც, მაგრამ, მე ჩემი განცდა მინდა გაგიზიაროთ.

თუ გიყვარს სიცოცხლე და თუ გახსოვს გარდაცვალება, ნაკლებად გექნება სულიერი ტანჯვა.

თუ შეგიძლია სხვისი სიხარული და ბედნიერება გაიზიარო, უკიდეგანო სასიცოცხლო ენერგიას მიიღებ კოსმოსიდან.

უარყოფითი ფიქრები და აგრესია სასიცოცხლო ენერგიისგან გცლის.

ყველაფერი უნდა მოიმოქმედო და ეცადო, რათა მართო საკუთარი ემოციები, თუ ამას შეძლებ, ბედნიერი იქნები.

მანჩესტერ იუნაიტედს ზინედინ ზიდანს ურჩევენ



მანჩესტერ იუნაიტედის ევროპა ლიგის ფინალური მარცხის შემდეგ ოლე გუნარ სოლსკიაერი უნდა წასულიყო. ხოლო მას შემდეგ, რაც მადრიდის რეალი ზინედინ ზიდანმა დატოვა, ნორვეგიელი სპეციალისტი მან უნდა ჩაანაცვლოს. ასეთია ბრიტანული მედიის აზრი.

მედიამ ეჭვქვეშ დააყენა სოლსკიაერის შესაძლებლობა და წერს, რომ სოლსკიაერს არ შეუძლია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღოს ყველაზე დიდ მომენტებში და შიშობს, რომ კლუბმა დაკარგა მადა ყოველ სეზონზე თასების მოსაგებად.

დადგა დრო, დასრულდეს სოლსკიაერის ექსპერიმენტი...

– ზიდანმა დატოვა მადრიდის რეალი, ინტერიდან ანტონიო კონტე წავიდა. ჩვენ ზიდანს გირჩევდით. მანჩესტერის ფეხბურთელებს მისი მსგავსი მწვრთნელი სჭირდებათ.

ამასთან, ზიზუ ისევ ისურვებდა პეპ გვარდიოლასთან კონკურენციას. დიდი მენეჯერები დიდ გადაწყვეტილებებს იღებენ. იუნაიტედის გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ გუნდს პრემიერ ლიგის მოგება უნდა. მეორე ადგილი არ არის საკმარისი, – წერს ბრიტანული მედია.

ამასობაში, მანჩესტერ იუნაიტედში დიდი წმენდა იგეგმება. გუნდმა ტრანსფერებისთვის 100 მილიონი ევრო გამოყო, წითელ ეშმაკებს ჯეიდონ სანჩოს და რაფაელ ვარანის შეძენა უფრო მეტი უჯდებათ და ამის ამოღებას მოთამაშეების გასხვისებით შეეცდებიან.

იუნაიტედის მესვეურები ზაფხულში ფილ ჯონსის, დიეგო დალოს, ბრენდან უილიამსის, ჯესი ლინგარდის, ანდრეას პერეირას, ალექს ტელეშის, დენიელ ჯეიმსის და ენტონი მარსიალის გაყიდვას აპირებენ. ამ უკანასკნელის ფასი 60 მილიონი ევროა და მისით ტოტენჰემია დაინტერესებული.

დიდი შანსია, მანჩესტერი პოლ პოგბამაც დატოვოს. მისი გადაბირება პსჟ-ს სურს და იუნაიტედიდან წასვლის სურვილს არც თავად ფეხბურთელი მალავს.

რეალის ამბები

მადრიდის რეალიდან რაფაელ ვარანის წასვლის შემდეგ, გუნდს დაცვაში სერიოზული პრობლემები შეექმნება. გეხსომებათ, „სამეფო კლუბი“ მანამდე დაცვის კიდევ ერთმა ლიდერმა და კაპიტანმა, სერხიო რამოსმა დატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ კარლო ანჩელოტიმ რეალის ფლორენტინო პერესს ჯორჯო კიელინის დამატების თხოვნით რამდენჯერმე მიმართა, მადრიდელთა პრეზიდენტმა საბოლოო უარი განაცხადა და იტალიელის საკითხი დახურა.

იტალიური გამოცემების ცნობით, ჯორჯომ იუვენტუსთან კონსულტაციები დაიწყო და დიდი ალბათობით „ბებერ ქალბატონთან“ 1-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

სამაგიეროდ, მადრიდული კლუბის პრეზიდენტ ჟიულ კუნდესთვის კიდევ ერთხელ გაიბრძოლებს.

„ბლანკოსი“ წინადადებას კიდევ მოამზადებს და სევილიას ფეხბურთელის თაობაზე მიმართავს. თუმცა, ეს არ იქნება 60 მილიონიანი წინადადება – მადრიდელები იმედოვნებენ, რომ 40-45 მილიონ ევროდ კუნდეს დამატება სავსებით შესაძლებელია.

როგორც ჩანს, პერესი ეტაპობრივად აცნობიერებს, რომ ერთ ზაფხულსა რამოსისა და რაფაელ ვარანის დაკარგვა გუნდში სერიოზულ პრობლემებს ქმნის და მაღალი დონის ცენტრალური მცველის დამატება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ერთია, თავად ფეხბურთელი გარანტირებულ სათამაშო წუთებს ითხოვს. გარდა ამისა, რეალს კონკურენტიც ჰყავს – ლონდონის ჩელსი.

გავრცელებული ინფორმაციით, სანამ რეალი ფიქრობს, „არისტოკრატებმა“ სევილიას ოფიციალურად მიმართეს. კუნდეს ჩემპიონთა ლიგაზე სურს თამაში და ტომას ტუხელის გუნდი ამისთვის შესანიშნავი ვარიანტია. მეტიც, ესპანური მედია იმასაც წერს, რომ თავად ფეხბურთელი ლონდონში გადაბარგებაზე თანახმაა.

ახალგაზრდა ფრანგი ცენტრალური მცველი სევილიას 2019 წელს შეუერთდა და უმალ ძირითადი შემადგენლობის წევრად იქცა. 2019 წლიდან დღემდე, კუნდემ სევილიას მაისური ყველა ტურნირზე ერთად 88-ჯერ მოირგო, 6 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასიც გაახერხა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

პოლიციელებმა მანქანა შიშველი ხელებით ასწიეს და დედა-შვილი გადაარჩინეს

ამერიკის ნიუ იორკის შტატში ორმა პოლიციელმა ქალი და მისი ჩვილი ბავშვი გადაარჩინეს, რომლებსაც მანქანა დაეჯახა. ამის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ ეჯახება მანქანა ჯერ ტროტუართან გაჩერებულ ავტომობილს, შემდეგ – ბავშვიან ქალს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა და ბოლოს ბარბერშოპის ვიტრინას შეასკდა. გვერდით მდებარე საფუნთუშეში მყოფი პოლიციელები სასწრაფოდ მიცვივდნენ შემთხვევის ადგილზე და შიშველი ხელებით ასწიეს ავტომობილი, რომლის ქვეშაც აღმოჩნდა ქალი თავისი რვა თვის გოგონათი. პოლიციელებს დედა-შვილის გამოყვანაში შენობაში მყოფი თვითმხილველებიც დაეხმარნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოგვიანებით ექიმებმა ბავშვს – თავის ქალის მოტეხილობა, ხოლო მის 36 წლის დედას ფეხზე რთული მოტეხილობები აღმოუჩინეს. სავარაუდოდ, ორივე დაშავებული გადარჩება. პოლიციამ ავტომობილის 43 წლის მძღოლი დევიდ პონკურაკი სატრანსპორტო საშუალების არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო დააპატიმრა.

თაღლითი სამი დღე თავს კომაში მყოფად ასაღებდა და კერძის არომატმა გასცა

ჩინეთის ხუბეის პროვინციის ქალაქ სიაოგანში თაღლითობაში ეჭვმიტანილის სახით დაკავებული მამაკაცი, სამი დღე თავს კომაში მყოფად ასაღებდა და თავი მას შემდეგ გათქვა, როდესაც საქონლის ხორცის არომატი შეიგრძნო, რომელსაც პოლიციელები მიირთმევდნენ.

ჩინელი თავს კომაში ჩავარდნილად ასაღებდა იმის იმედით, რომ დაპატიმრებას გადაურჩებოდა. პოლიციელები გონებაზე მოყვანას შეეცადნენ, თუმცა ეს ვერ შეძლეს. ბოლოს და ბოლოს, მათ დაიჯერეს, რომ მამაკაცი ნამდვილად ავად იყო და ის სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

ექიმებმა სხვადასხვა მეთოდებს მიმართეს მამაკაცის „გასაღვიძებლად“. სამი დღის განმავლობაში აწვებოდნენ თირკმლებზე, დაუყენეს კათეტერი, ჩაუტარეს ელექტროკარდიოგრამა, თუმცა ჩინელი კვლავ აჩვენებდა, რომ კომაში იმყოფებოდა.

მეოთხე დღეს ის „გონს მოვიდა“, რადგან ვეღარ გაუძლო საქონლის ხორცის კარეს არომატს. ამ კერძს შეექცეოდა პოლიციელი, რომელიც მის პალატაში იმყოფებოდა.

– როდესაც სპეციალური კონტეინერი გავხსენი, მაშინვე მისი არომატი გავრცელდა. ამის შემდეგ მან თავი გაატოკა და ნელ-ნელა გამოფხიზლდა, – განაცხადა პოლიციელმა.

ეჭვმიტანილმა აღიარა, რომ სწორედ კერძი გახდა იმის მიზეზი, რომლის გამოც გადაწყვიტა უარი ეთქვა საკუთარ თაღლითობაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფავორიტად მიჩნეული გრიგალაშვილი უმედლოდ დარჩა, მადიევი მეოთხედფინალშია

27 ივლისს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მოკრივე ესკერხან მადიევი მეოთხედფინალში გავიდა და მინიმუმ ბრინჯაოს მედლამდე ერთი ნაბიჯი აშორებს.

69 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მადიევი რინგზე უგანდელ შადირ ბვოგს შეხვდა. მსაჯების გადაწყვეტილებით, ბრძოლა მადიევის სასარგებლოდ დასრულდა – 3:1. ერთმა მსაჯმა ორივე მოკრივეს თანაბარი ქულები მიანიჭა.

მეოთხედფინალში მადიევი მსოფლიო ჩემპიონს, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ნაკრების წევრ ალექსანდრ ზამკავოის 30 ივლისს შეხვდება.

მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა 81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ტატო გრიგალაშვილს, მაგრამ ქართველი ძიუდოისტი შინ ხელცარიელი დაბრუნდება.

ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მისი მეტოქე ბელგიელი მატიას კასე იყო, რომელმაც ძალიან მალე იპონზე დააგდო ჩვენებური.

მანამდე გრიგალაშვილმა ტაჯიკი ახმად მუროდოვი დაამარცხა, შემდეგ კი, სუნგჰო ლიი დასცა იპონზე, მაგრამ მეოთხედფინალში მონღოლ საიდ მოლაესთან წააგო და რეპეშაჟში გადაერთო, სადაც უზბეკ შაფოროდინ ბოლბოტაევს მოუგო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ამავე წონაში ბრინჯაოს მედალი ავსტრიის სახელით შამილ ბორჩაშვილმა მოიპოვა.

მილანი ჭორია, ტოტენჰემი?

რუსულ მედიაში რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ ხვიჩა კვარაცხელია მილანში გადადის, ეჭვქვეშ დავაყენეთ. ამის საბაბს გვაძლევდა ის, რომ წყარო ძალიან არაკომპეტენტური იყო. როგორც ჩანს, ასეც აღმოჩნდა, რადგან იგივე იტალიურ მედიაშიც უარყვეს.

კარლო პელეგატი იტალიელი ჟურნალისტია, რომელმაც განაცხადა, რომ კვარაცხელიას ტრანსფერით მილანი დაინტერესებული არ არის.

კარლო პელეგატი:

– კვარაცხელიაზე მილანიდან არანაირი ინტერესი არ არსებობს. ის თამაშობს მარცხენა ფლანგზე, სადაც პიოლის გუნდი უკვე დაკომპლექტებულია, გარდა ამისა, არ არის ევროკავშირის წევრი. ეს ინფორმაცია ტყუილია იქედან გამომდინარე, რასაც რუსეთში წერენ.

სამაგიეროდ, სხვა იტალიურ მედიაში გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის რუბინის ნახევარმცველით ინგლისური ტოტენჰემია დაინტერესებული და კარიერა, შესაძლოა, პრემიერლიგაში გააგრძელოს.

შეგახსენებთ, ხვიჩა კვარაცხელიას რუბინთან კონტრაქტი 2024 წლამდე აქვს გაფორმებული. ქართველმა ფეხბურთელმა სეზონი რუსულ კლუბთან ერთად დაიწყო და ჩემპიონატის პირველ ტურში ითამაშა კიდეც.

სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

გიორგი ჯინჯოლავა: „ლა ლიგაში სათამაშოდ უნდა მოვემზადო“

გიორგი ჯინოლავა კარიერას ესპანურ კადისში გააგრძელებს. ჯინჯოლავა, ყოფილი თანაგუნდელის, გიორგი ქოჩორაშვილის შემდეგ, საბურთალოს აკადემიის კიდევ ერთი აღზრდილი ფეხბურთელია, რომელიც კარიერას ესპანეთში გააგრძელებს.

გიორგი ჯინჯოლავა:

– პირველ რიგში კლუბის ბაზა დამათვალიერებინეს, რამაც ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კლუბის განკარგულებაში რამდენიმე მინდორია როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნურსაფრიანი. ასევე, სატრენაჟორო დარბაზები, იდეალური გარემო. კადისი ზღვისპირა ქალაქია, ხალხიც განსხვავებულია – ბევრი თბილი და კეთილად განწყობილი ადამიანია.

– ვარჯიშს როდიდან შეუდექი?

– ესპანეთში რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი და მეორე გუნდის შემადგენლობაში უკვე ვივარჯიშე. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული – როგორც წარმოვაჩენ თავს, ისეთ შედეგს მივიღებ. პირველ გუნდამდე ერთი ნაბიჯია, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ადგილი დავიმკვიდრო ძირითადი გუნდის შემადგენლობაში.

– მთავარ მწვრთნელთან გქონდა საუბარი?

– დიახ, გვქონდა ასეთი შეხვედრა. მითხრა, ვადევნებდი შენს თამაშებს თვალს. მიხარია, რომ ახლა ჩვენთან ხარ და აქ გააგრძელებ კარიერასო. გარკვეული დავალებებიც მივიღე მწვრთნელისგან, რომლის განხორციელებასაც შევეცდები.

– ესპანეთში საბურთალოს აკადემიის კიდევ ერთი აღზრდილია – გიორგი ქოჩორაშვილი. ხომ არ შეხვდი?

– ჯერჯერობით, შეხვედრა ვერ მოვახერხეთ, რადგან ქალაქებს შორის სხვაობა 100 კილომეტრია. თუმცა, ყოველდღიური კონტაქტი მაქვს და ვისაუბრეთ. გიორგი ესპანეთში რამდენიმე წელია ცხოვრობს და გარკვეული გამოცდილება უკვე დაუგროვდა. მის რჩევებს ვითვალისწინებ.

– ესპანეთში ადრეც იყავი. ალბათ, ადაპტაცია არ გაგიჭირდებოდა.

– 2 წლის წინ ვიყავი, მაშინ მცირე გამოცდილება მივიღე, რომელიც ახლა გამომადგა. ენის მხრივ, საფეხბურთო თემაზე როდესაც საუბრობენ, ბევრი რაღაცები მესმის, სალაპარაკოს ნელ-ნელა ვსწავლობ.

– როგორია სამომავლო გეგმები?

– ამ ეტაპზე მიზანი ლა ლიგაში თამაში და კადისის მთავარ გუნდში მოხვედრაა. ვიცი, მარტივი არ იქნება, ამისთვის ბევრი შრომა მომიწევს. ის, რომ კადისში ჩავირიცხე და ესპანეთში ვთამაშობ, ტარიელ ხეჩიკაშვილისა და კახა კაშიას დიდი დამსახურებაა, რომლებიც ყველანაირად გვერდში დამიდგნენ და მომცეს კიდევ უფრო განვითარების საშუალება.

წელს ორი ოქროს ბურთი გაიცემა

2021 წლის ოქროს ბურთის დაჯილდოების ცერემონიის თარიღი ცნობილია. იგი პარიზში 5 დეკემბერს გაიმართება. ამ ინფორმაციას ავტორიტეტული ეკიპი ავრცელებს.

ფრანგული გამოცემის ცნობით, ფრანს ფუტბოლი საფრანგეთის დედაქალაქში 2 „ოქროს ბურთს“ გასცემს, რაც ამ ჯილდოს არსებობის ისტორიაში პირველად მოხდება.

საქმე ისაა, რომ 2020 წელს „ოქროს ბურთის“ ცერემონია კორონავირუსის პანდემიის გამო გაუქმდა. გასულის წლის ჯილდო, რომლის ფავორიტად მიუნხენის ბაიერნის თავდამსხმელი რობერტ ლევანდოვსკი ითვლება, სწორედ წელს გაიცემა.

რაც შეეხება წლევანდელ „ოქროს ბურთს“, მისი ფავორიტი მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეული ლეო მესია, რომელმაც ბარსელონაში საუცხოო სეზონი ჩაატარა და არგენტინის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკის გამარჯვებული გახდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

27 ივლისი
ოლიმპიადა
ფეხბურთი

ქალები

ახ.ზელანდია-შვედეთი	0:2
აშშ-ავსტრალია	0:0
კანადა-დიდი ბრიტანეთი	1:1
ჩილე-იაპონია	0:1
ბრაზილია-ზამბია	1:0
ნიდერლანდები-ჩინეთი	8:2

ჩოგბურთი

ჯენტლმენები

ტიაფო-ციციპასი	3:6,4:6
კარაცევი-ჩარდი	5:7,6:4,3:6
შვარცმანი-მახაცი	6:4,7:5
დაკვორტი-ხაჩანოვი	5:7,1:6
ივაშკა-კუკუშკინი	6:7,6:3,6:3
ბროუდი-ჰურკაჩი	7:5,3:6,6:3
უმბერტი-კეჩმანოვიჩი	4:6,7:6,7:5
ხირონი-ნიშიკორი	6:7,6:3,1:6

ქალები

ვან უიტვანკი-მუგურუზა	4:6,1:6
სობირეს ტორმო-პავლუჩენკოვა	1:6,3:6
ბენჩიჩი-კრეიჩიკოვა	1:6,6:2,6:3
ვონდროუშოვა-ოსაკა	6:1,6:4
საკარი-სვიტოლინა	7:5,3:6,4:6
ჰიბერტი-პოდოროსკა	6:2,6:3
პლიშკოვა-ჯორჯი	4:6,2:6
ვეკიჩი-რიბარიკინა	6:7,4:6

კალათბურთი

ქალები

იაპონია-საფრანგეთი	74:70
ნიგერია-აშშ	72:81
ავსტრალია-ბელგია	70:85
პუერტო-რიკო-ჩინეთი	55:97

26 ივლისი
ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 2

დიჟონი-სოშო	1:3

ხუსეთი. ჩემპიონლიგა

ნ.ნოვგოროდი-სოჭი	1:0

უკრაინა. ჩემპიონლიგა

ვორსკლა-დნიპრო	2:2

დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ვაილე	1:0

შვედეთი. ალსვენსკა

ვარბერგი-გიოტებორგი	2:0
იორებრო-აიკი	1:1
ესტერსტუნდი-ჰალმშტადი	0:1

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. რაიმეს მიმდინარეობის, განხორციელების სიჩქარე; 2. ლაზური ორსართულიანი ხის სახლი; 3. სწრაფმავალი მოტორიანი ნავი; 4. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 5. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 6. ძვირფასი სამშენებლო მოსაპირკეთებელი მინერალი; 9. საქართველოს პრეზიდენტი; 10. საერთაშორისო ბაზარზე გატანილი პირველი ქართული სამარკო ღვინო; 11. იტალიური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ქართული საინვესტიციო-საქველმოქმედო ორგანიზაცია; 16. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. ქართული მითოლოგიური გმირი; 20. ნიჟარაში მცხოვრები უხერხემლო რბილსხეულიანი ზღვის ცხოველი; 23. თეატრის მსახიობთა კოლექტივი; 24. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 25. გამარტივებული ნახაზი; 26. ბერძნული ყველი.

თარაზულად: 7. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 8. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 12. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. მარცვლეულის, ფქვილის ვაჭარი ძველად; 17. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 21. ღვინის თიხის სასმისი; 22. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 27. დანიელი მეზღაპრე; 28. დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმირების შემსწავლელი მეცნიერება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დუნსტი; 2. სმალტა; 3. დედალოსი; 4. ტრიერი; 6. ბაბილონი; 8. ამიაკი; 11. ქობულაძე; 12. კონუნგი; 16. კუკია; 17. კიოტო; 18. პუდრი.

თარაზულად: 1. დნესტრი; 5. ქააბი; 7. ლეკლერი; 9. სლალომი; 10. ღერღედი; 13. კონული; 14. ტორინო; 15. გოია; 19. გუდაური; 20. დინდგელი; 21. ბანდეროლი; 22. ლენონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პეტრა; 2. ასაჰი; 3. პორტერი; 4. ლალი; 5. ლადა; 6. სკიპტრა; 9. ცხენისწყალი; 10. დრომადერი; 11. პორტოფინო; 14. კამიუ; 16. შპიგი; 18. ფეიქარი; 20. აღდგომა; 23. ევრო; 24. ოდიში; 25. ოტავა; 26. ნოტი.

თარაზულად: 7. კონსტანტა; 8. ნახალოვკა; 12. ტევრი; 13. ბოლტი; 15. ნანტი; 17. მაჟესტიკი; 19. ჯაყვა; 21. ვისლა; 22. ანოდი; 27. პროპორცია; 28. პანტომიმა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0892

ევრო — 3.6409

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2588

100 რუსული რუბლი — 4.1895

ამინდის პროგნოზი 28 ივლისისათვის



პიანიჩი შესაძლოა იუვენტუსში დაბრუნდეს

მირალემ პიანიჩის კარიერა ბარსელონაში ვერ აეწყო და კატალონიელები მის გაყიდვაზე ფიქრობენ. გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პიანიჩი შესაძლოა იუვენტუსში დაბრუნდეს და ეს ერთწლიანი იჯარით მოხდეს. თვითონ პიანიჩმაც განაცხადა, რომ მას სურს ბარსელონას დატოვება, რადგან ამ გუნდში მას არ ენდობიან და ის თავის ადგილს ვერ პოულობს.

ბოსნიელი ნახევარმცველის ყიდვა რამდენიმე ინგლისურ კლუბსაც სურს.

ბარსელონა ლუკა ერნანდესით დაინტერესდა

ბარსელონას რადარზე ახალი ფეხბურთელი გაჩნდა და ეს ფეხბურთელი ბაიერნის ფრანგი მცველი ლუკა ერნანდესია, რომელიც ბაიერნში სტაბილური ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად არ ითვლება. ერნანდესი გუნდის დატოვებას არ გამორიცხავს და მან ერთ-ერთ ინტერვიუში ამის შესახებ ისაუბრა კიდეც.

ერთადერთი პრობლემა მისი სატრანსფერო ფასია, რომელსაც, სავარაუდოდ, ბარსელონა ვერ გაწვდება, რადგან გუნდში არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობაა.

ვარანის ტრანსფერი უახლოეს დღეებში გაოფიციალურდება

რაფაელ ვარანის მანჩესტერ იუნაიტედში ტრანსფერი უახლოეს მომავალში ოფიციალური გახდება და ვარანი უკვე ემზადება კონტრაქტის გაფორმებისთვის, რომელიც 4-წლიანი იქნება.

ვარანი წელიწადში 12 მილიონს გამოიმუშავებს, რაც იუნაიტედის ფეხბურთელისთვის არცთუ დიდი თანხაა. მიუხედავად ამისა, ვარანის თქმით, ის ამ ტრანსფერით კმაყოფილია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯენიფერ ლოპესმა იუბილე ბიკინიში გამოწყობილმა აღნიშნა

ჰოლივუდის მსახიობმა და მომღერალმა ჯენიფერ ლოპესმა დაბადების დღე იახტაზე ბიკინიში გამოწყობილმა აღნიშნა და თავისი ფიგურით თაყვანისმცემლები გააკვირვა.

ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განთავსებულ ფოტოსურათებზე წითელ-ყვითელ ბიკინიში გამოწყობილი მომღერალი სხვადასხვა რაკურსითაა აღბეჭდილი. მას ამ დროს ასევე ნახევრად გამჭვირვალე ყვავილების გამოსახულებიანი მოსასხამიც აქვს მორგებული, ფეხებზე ვარდისფერი ქუსლიანი ფეხსაცმელები აცვია, თავზე ხაკისფერი ქუდი ახურავს, კისერზე კი რამდენიმე ოქროს ჯაჭვი უკეთია.

24 ივლისს ლოპესი 52 წლის გახდა. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულმა მისმა ფოტოებმა 7,8 მილიონი მოწონება მიიღო. ფანებმა მისი გარეგნობა სათანადოდ დააფასეს და დაბადების დღეც მიულოცეს.

– შენ ყოველთვის დარჩები ჩემი აღფრთოვანების ობიექტად. ყველას გვიყვარხარ! – დაწერა ერთმა თაყვანისმცემელმა.

– დაბადების დღეს გილოცავ! 52 წლის ასაკში 28 წლისას უფრო ჰგავხარ, ბრწყინვალე ხარ! – აღნიშნა მეორემ.

– ძალიან ლამაზი ხარ! შენს ასაკზე გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურები, – შეაფასა მსახიობი კიდევ ერთმა თაყვანისმცემელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 ივლისისათვის

ვერძი – ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **კურო** – ვარსკვლავები მამაკაცებს დღეს სტუმრად წასვლას ურჩევენ. კეთილისმყოფელი და ჰარმონიული პერიოდია. **გუნეები** – ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კირჩხიბი** – სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე სამომავლოდ გადადეთ. **ლომი** – იყავით სამართლიანი, დაიცავით დაჩაგრული. თუ საჭიროა, კომპრომისზეც უნდა წახვიდეთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **სასწორი** – ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ღრიანკალი** – შეცდომების გამოსასწორებლად შანსი გეძლევათ. მოთმინება და თავშეკავება დღეს სავალდებულოა. **მშვილდოსანი** – აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **მერწყული** – გამოიჩინეთ სიბრძნე და სამართლიანობა. დაეხმარეთ მათ, ვისაც ეს თქვენგან სჭირდება. **თევზები** – აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

კაცი ქალს ეკითხება:

– ძვირფასო, ჩემ გარდა, სხვასთან გიძინია?

– არა, ძვირფასო, მხოლოდ შენთან მეძინა, სხვებთან ძილისთვის სად მეცალა.

●●●

ტუჩებდაბერილი ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, რა მჭირს?

– დამშვიდდით, ეგ ჩვეულებრივი ბუასილია.

– როგორ თუ ბუასილი, სახეზე?

– აუ, ამის დედაც... ეგ სახეა?

●●●

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს მიმართავს:

– თუ შეიძლება, ხორბლის წვენი მომეცით.

– მასეთი არაფერი გვაქვს.

– არაყი მინდა, არაყი!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, შენ რომ ქილერი ყოფილიყავი, ფულის სანაცვლოდ მომკლავდი?

– არა, რას ამბობ, ფულის გულისთვის როგორ გაგიმეტებდი, უბრალოდ, უფასოდ გაგაცილებდი!

●●●

პატარა გოგო ოჯახურ ალბომს ათვალიერებს და უცბად დედას ეკითხება:

– დედა, ეს ვინ არის შენთან ერთად პლაჟზე, ლამაზი კაცი?

– ეგ მამაშენია!

ბავშვმა დივანზე წამოგორებულ მამას გადახედა და ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

– აბა მაშინ ეს ვინ არის?

●●●

გასვენებაში ერთი მისამძიმრებაზე მისული მეორეს ეკითხება:

– ხომ არ იცი, რისგან გარდაიცვალა?

– აგერ შეხედე, გვირგვინებზე აწერია: „ცოლისგან“, „მეგობრებისგან“, „თანამშრომლებისგან“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო ძოწენიძე: „მართლა არ გეცოდებათ ადამიანები?!“

ამ კითხვით მომღერალი ნინო ძოწენიძე საქართველოს მთავრობას მიმართავს:

– ბენზინი გაძვირდა და რა აღარ გაძვირდა. ბათუმში კლუბები დახურეს, სადაც უამრავი სტაფი და მომღერალი უნდა ყოფილიყო დაკავებული! თურმე 12-ის მერე ხალხი ერთმანეთს ეხვევა და უფრო გადამდებია კორონა, ვიდრე 12-მდე! სად არის ლოგიკა და როდემდე ამ ყველაფრით ხალხის გაშტერება! მართლა არ გეცოდებათ ადამიანები?! – საქართველოს მთავრობა!

დავით ქაცარავა ლევ ლეშენკოს საქართველოში სტუმრობას აპროტესტებს

დავით ქაცარავა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სამეფო კარის მომღერლის ლევ ლეშენკოს საქართველოში სტუმრობას აპროტესტებს:

– საქართველოს სტუმრობდა პუტინის სამეფო კარის მომღერალი – ლევ ლეშენკო. ადამიანი, რომელმაც აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობას“ სოხუმში აფხაზურად უმღერა.

ეს არის კრემლის პროპაგანდისტული მანქანის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, ყველაფერთან ერთად ლეშენკომ ამით დაარღვია კანონი ოკუპაციის შესახებ.

მაგრამ ამის მიუხედავად, ქოცნებამ მას უმაღლეს დონეზე უმასპინძლა. ქვეყნის მფლობელის სასტუმროში უმასპინძლეს, პარლამენტის წევრებმა მისთვის რესტორანი დაკეტეს. აქაც ვაჟა არ მოიშველიოთ, თორემ წამოდგება ის კაცი საფლავიდან და თავებს გაგიტეხავთ კომბლით.

პარალელურად, რუსები სოფელ კოდას, წაღვლისა და ჩორჩანის მიმდებარედ სატანკო სანგრებს თხრიან.

რატომ შემოუშვით კრემლის მორიგი პროპაგანდონი საქართველოში?

რატომ თელავთ კანონს ოკუპაციის შესახებ?

კითხვები რიტორიკულია, პასუხი წინასწარ ვიცით, მაგრამ მათი არდასმაც არ შეიძლება.

პ.ს. ერთი ძალზე მნიშვნელოვანი შენიშვნა: როდესაც ჟურნალისტებმა დარეკეს სუსში და სცადეს ინფორმაციის გადამოწმება ამ სატანკო თხრილებთან დაკავშირებით, პასუხი იყო – ეს ძველიაო. იცით, „ძველი“ რას ნიშნავს? პირველი სამი სანგარი რუსებმა გათხარეს ივლისის პირველ რიცხვებში, რომლებიც 10 ივლისს აღმოვაჩინეთ, ხოლო მეოთხე და მეხუთე სანგარი ორკეებმა 10.07-15.07 პერიოდში დაამატეს.



მეფე გიორგი XI-ს ოქროს ჯვრის ექსპოზიციაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს

მეფე გიორგი XI-ს უნიკალური ოქროს ჯვარი ბრიტანეთის მუზეუმის კოლექციაშია დაცული.

საქართველოს ელჩმა დიდ ბრიტანეთში სოფიო ქაცარავამ შეხვედრა გამართა ბრიტანეთის მუზეუმის საერთაშორისო მიმართულების დირექტორთან ნადია რეისთან. მუზეუმში ვიზიტისას ელჩმა დაათვალიერა მეფე გიორგი XI-ს უნიკალური ოქროს ჯვარი, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმის კოლექციაშია დაცული.

საქართველოს ელჩის ინიციატივით დაწყებულია მუშაობა ბრიტანეთის მუზეუმთან მეფე გიორგი XI-ს (გვიანი მე-17 საუკუნე) ოქროს ჯვრის ექსპოზიციის მიზნით. აღნიშნული ჯვარი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის უნიკალურ ნიმუშს, რომელიც 1980-იანი წლების დასაწყისიდან ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

გია ჯაჯანიძე: „უარყოფითი ფიქრები და აგრესია სასიცოცხლო ენერგიისგან გცლის“

ტელეწამყვანი და ფსიქოლოგი გია ჯაჯანიძე ყოველი დღის ბედნიერად გატარებას გვირჩევს:

– შეიძლება დაუჯერებელია, მაგრამ ჩემს აზრს გაგიზიარებთ. არც ერთ დღესასწაულს არ აღვნიშნავ, ბევრი მიზეზის გამო. მხოლოდ ერთ-ერთ მიზეზს გეტყვით. დანარჩენს მემუარებში.

ზუსტი დრო არ მახსოვს, დაახლოებით ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს აზრი ჩამომიყალიბდა, არცთუ ისე უსაფუძვლოდ.

ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი სიცოცხლის არსს. გავიაზრე სამყაროს მიზიდულობა და ენერგია.

ჩემმა გონებამ მძაფრად აღიქვა სიცოცხლის ძალა და გარდაუვალი გარდაცვალება, ამის შემდეგ მთლიანად განვთავისუფლდი და შეიცვალა ჩემი მსოფლმხედველობა.

მას შემდეგ, არ აღმინიშნავს არც ერთი დღესასწაული.

ჩემთვის ყოველი დღე ახალი წელია, ყოველი დღე შობა, ყოველი დღე აღდგომა და ყოველი დილა, დაბადების დღე.

ჩემმა მეგობრებმა იციან, თუმცა ზოგიერთ ადამიანს არ სჯერა, რომ მიუხედავად სირთულეებისა და ირგვლივ შექმნილი მდგომარეობისა, მაინც ბედნიერებით მაქვს გული სავსე.

რთული გასაგებია, მაგრამ სიცოცხლის სიყვარული ისე მძაფრია ჩემს გონებაში, ნებისმიერ წამს შემიძლია გავიფიქრო, ხვალ შეიძლება აღარ ვიყო და სანამ ვარ, სიხარულში უნდა გავატარო

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 2. გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი; 3. ფრანგი მოქანდაკე, თავისუფლების ქანდაკების ავტორი ნიუ იორკში; 4. სამურაების მეთაური; 6. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 8. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. უწახნაგოდ მრგვლად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 12. ქართველი მეფე, საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი; 16. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 17. ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 18. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო.

თარაზულად: 1. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 5. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 7. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 9. ბრაზილიის ნაკრებისა და პარიზის „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 10. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 13. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 14. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 15. მდინარე პარიზში; 19. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ბადაგისგან მომზადებული ტკბილეული; 21. მონასტერი კასპის რაიონში; 22. ტროპიკული პალმის ნაყოფი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა